



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აბზისტი
(აბი)
1-31
№15-16 (349)
(5771)
2011

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

კეთილი მომავლისაკენ



ისრაელელი ბიზნესმენის მიხეილ მირილაშვილის ვაჟმა სოციალური ქსელი „ВКонтакте“ შექმნა. იგი „Пассажир-ТВ“-ის აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელია. ამჟამად კი გერცლიაში ცხოვრობს.

ისრაელელი მაგნატის ვაჟიშვილი 1984 წელს ლენინგრადში დაიბადა. ისტორიულ სამშობლოში 1995 წლის 6 მარტს დაბრუნდა, ახლა კი გერცლიაში ცხოვრობს.

2006 წელს დაამთავრა ამერიკის ელიტარული უნივერსიტეტი Tufts University. მიიწვევა პოპულარული რუსული სოციალური ქსელის „ВКонтакте“-ს დამფუძნებლად. 2006 წელს ეს რუსურსი მიწერილი იყო ოფშორულ კომპანია Dora-view Limited –ზე, რომელიც ბრიტანულ ვირჯინიის კუნძულებზეა დარეგისტრირებული. 2008 წლის 1 თებერვლიდან, ინტერფაქსის ცნობით, მას ფლობდა კომპანია „ВКонтакте“, რომელიც რუსეთშია დარეგისტრირებული და მის დამფუძნებლებად ითვლებიან: ვიანესლავ მირილაშვილი (საწყისი კაპიტალის 60%), მიხეილ მირილაშვილი (10%) და პაველ დუროვი (20%).

2009 წელს გაუღერდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მირილაშვილმა ფორმალურად გადასცა სოციალური ქსელის „ВКонтакте“-ს მართვის უფლება იური მილნერს და კომპანია NCH Advisors-ის დირექტორს გრიგორი ფინგერს.

2011 წლის მაისში ჟურნალ „ფორბსთან“ საუბრისას მიხეილ მირილაშვილმა განაცხადა: „ჩემმა ვაჟიშვილმა ვიანესლავმა თავის პარტნიორებთან ერთად, რომლებიც მისი ახლო მეგობრები არიან, პაველ დუროვთან და ლევ ლევიევთან ერთად შექმნა სოციალური ქსელი „ВКонтакте“. პროექტი „ВКонтакте“ ჩემთვის ძალიან ძვირფასია, რადგან იგი ჩემი შვილისა და მისი პარტნიორების შექმნილია. რაც შეეხება ჩემს პროექტებს, არც ერთი მათგანი ცალკე აღებული „ВКонтакте“-ს არ აღემატება.

2010 წლის დეკემბერში ჟურნალმა „Финанс“ ვ. მირილაშვილის ფინანსური



მდგომარეობა 24.1 მილიარდი რუბლით შეაფასა და რუსი მილიარდერების სიაში 140 ადგილას მოახვედრა.

მისი მეუღლე დაიბადა 1983 წელს თბილისში, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა 1993 წლის 29 დეკემბერს, ჰყავთ ორი შვილი: ვაჟი და ქალიშვილი.

რუსეთის საგარეო პოლიტიკა

ვლადიმერ პუტინისა და ებრაული ორგანიზაციების შეხვედრა

რუსეთის ნაციონალურ-კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრაზე, რომელიც რუსეთის საერთაშორისო სახალხო ფრონტის შენობაში მიმდინარეობდა, აზრები გაცვალეს რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა და ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალ-



ურმა მდივანმა მიხეილ ჩლენოვმა, რომელიც შეხვედრაზე ებრაულ ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიასაც წარმოადგენდა.

შეხვედრა ვლადიმერ პუტინმა გახსნა და მანვე გააგრძელა სხდომა. შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ: რუსეთის

პატრიარქი კირილე, რაველ გაინუტდინი, რუსეთში მცხოვრები მუსლიმების სულიერი მამამთავარი ტალგატ ტაჯუდინი, რუსეთის მთავარი რაბინი ბენ ლაზარი და რუსეთში ბუდისტური რელიგიის მუდმივი წარმომადგენელი სანჟეი-ლამა ანდრე ბალჟიროვი.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა მხარი დაუჭირა გამომსვლელებს, ხაზი გაუსვა რუსეთისთვის ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებს შორის მუდმივი დიალოგის საჭიროებასა და მნიშვნელობას. თავის გამოსვლაში მ. ჩლენოვმა ორი საკითხი გამოკვეთა. პირველი — მთელი ებრაული სამყაროსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი — სექტემბერში გაეროში დაგეგმილი რეზოლუციის განხილვა პალესტინის სახელმწიფოს ერთმხრივი აღიარების შესახებ და რუსეთის პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში. მეორე — ნაციონალურ-კულტურული გაერთიანებების სტატუსი და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა რუსეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ წარმომადგენლებთან მიმართებაში.

მ. ჩლენოვმა პირველ რიგში, ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთში დაახლოებით 1.5 მილიონი ებრაელი ცხოვრობს. ისრაელში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობა, მათი მრავალრიცხოვანი ნათესავები, კოლეგები, მეგობრები, ტურისტები და მსოფლიო ებრაელობა რუსეთისაგან მკაფიო პოზიციის დაფიქსირებას ელის. „როდის წარმოაჩენს რუსეთი თავის გავლენას ახლო აღმოსავლეთზე?“, - იკითხა მ. ჩლენოვმა. ამას შეიძლება შეეკავებინა ერთმხრივი აქცია, რომელიც ახლო აღმოსავლეთში იურიდიულსა და უფლებრივ ფესვს ღრღინს და ეყრდნობა გაეროს მიერ ოსლოში მიღებულ რამდენიმე შეთანხმებას“, რაზეც ვ. პუტინმა უპასუხა, „რუსეთი საბჭოთა კავშირის სამართლებრივი მემკვიდრეა. საბჭოთა კავშირმა პალესტინა დიდი ხნის წინათ აღიარა, ასე რომ, ეს საკითხი გადაწყვეტილია“. ჩლენოვის პასუხი კი იყო, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნა 1988 წელს, ახლა კი თავიდან უნდა გადაიხედოს. ვლადიმერ პუტინმა უპასუხა, რომ ამ საკითხის განხილვა საგარეო საქმეთა სამინისტროში უნდა მოხდეს. „ეს საგარეო საქმეთა სამინისტროში უნდა გადაწყდეს, ახლა ამის არც დროა და არც ადგილი“.

საუბრის დასასრულს პუტინმა განაცხადა: „ისრაელი ჩვენთვის განსაკუთრებული სახელმწიფოა. პრაქტიკულად იგი რუსულენოვანი ქვეყანაა. მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტი რუსულად საუბრობს, ის ერთადერთი რუსულენოვანი ქვეყანაა ახლა აღმოსავლეთში. ეს ფაქტია“.

იბრძვიან და იმარჯვებენ?

პალესტინელთა დამოუკიდებლობის აღიარებისთვის გაეროს წევრი 118 ქვეყნის მხარდაჭერა მოიპოვა

პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა, პალესტინურ ფრაქციებს მოუწოდებდა დაივიწყონ უთანხმოების შესახებ და პალესტინის სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარების მიზნის გარშემო გაერთიანდნენ. მან თხოვნით მიმართა სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე პალესტინელ დიპლომატებს, რომ ამ იდეის პოპულარიზაციის მიზნით, ძალისხმევა არ დაიშურონ და სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, პალესტინის ცალმხრივ აღიარებას მიადგინონ.

გარდა ამისა, აბასმა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ პალესტინელ ემიგრანტებს მოუწოდა, საინფორმაციო პროპაგანდა აწარმოონ ყველა თემის წარმომადგენლებთან, მათ შორის საზღვარგარეთ მცხოვრებ ებრაელებთანაც კი. იტყობინება პალესტინური სააგენტო „მან“-ი.

ეს განცხადება აბასმა სტამბულში, პალესტინის დიპლომატებთან საკონსულტაციო შეხვედრის დროს გააკეთა. როგორც აბასი აცხადებს, ამ დროისათვის, მას მსოფლიოს 118 ქვეყანა დაპირდა, რომ რეზოლუციას პალესტინის სახელმწიფოს აღიარების შესახებ მხარს დაუჭერს.



აბასი ასევე აცხადებს, რომ არაბული სახელმწიფოების წარმომადგენლები, შიდა პრობლემების, კერძოდ მათ ქვეყნებში მიმდინარე მასობრივი ანტისამთავრობო გამოსვლების მიუხედავად, პალესტინის დამოუკიდებლობას მხარს უჭერენ და ამ მხრივ, მათი პოზიცია „დამაიმედებელია“.

პალესტინის ადმინისტრაციის თავმჯდომარის თქმით, „ჰამასთან“ მოლაპარაკებებისას, გარდამავალი მთავრობის ფორმირება გადაწყდა, რომელიც დამოუკიდებელი კანდიდატებისა და ტექნოკრატებისგან დაკომპლექტდება და მასში პალესტინური ფრაქციები არ შევლენ. ახალი მთავრობის მიზანი კი, როგორც აბასი ამბობს, ღაზას სექტორის რეკონსტრუქცია, ასევე მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება იქნება. ამავდროულად, აბასი „ჰამასს“ მოუწოდებს, რომ ამ საკითხთან მიმართებაში კომპრომისზე წავიდეს.

სააპელაციო სასამართლო

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც 2011 წლის 1 აპრილს დაამნაშავედ სცნო ისრაელელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი. „ძირითადი ანალიზისა და მონივრების დაკითხვის შემდეგ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება სამართლიანად იყო მიღებული და გადაწყვეტილება ძალაში დატოვა“, — განაცხადა 26 ივლისს სააპელაციო სასამართლოს პრეს-მდივანმა. ვებ-გვერდი „civil.ge“ შეგვასხენებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ფრენკელს თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 6 თვით, ხოლო რონი ფუქსს 7 წლით მიუსაჯა, მათ ასევე დაეკისრათ ფულადი ჯარიმები 100 ათასისა და 500 ათასი ლარის ოდენობით.

ორივე განსასჯელი დანაშაულს უარყოფს. თავის ბოლო სიტყვაში რონი ფუქსმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ მათი საქმე „შეკერა“, რადგან ფუქსისა და მისი პარტნიორისთვის იოანის კარდასპოპოლუსისთვის 100 მილიონი დოლარი ჰქონდა მისაცემი.

შეგახსენებთ, რომ 30 ივნისს ელენე თევდორაძემ, რომელიც შეწყალების კომისიას ხელმძღვანელობს, აღნიშნა, რომ რონი ფუქსსა და ზეევ ფრენკელს შეწყალების დიდი შანსები არ აქვთ.

თავი 1

1. რა უთვისტომოდ ზის ქალაქში, ოდესღაც ასე ხალხმრავალი, ახლა ქერივ-ობრად გადაქცეული. ხალხში ასე სახელგანთქმული, ქალაქთა ქალაქი ხარკს იხდის ახლა.
2. ღამლამობით ჩუმად მოთქვამს გულამომჯდარი, ცრემლს დაუფარავს მისი ლოყები. ნუგემსმცემი აღარა ჰყავს მოყვარეთ შორის, მეგობრებმაც კი უღალატეს, მტრად გადაექცნენ.
3. იუდეა გადაიხვეწა ტანჯვისა და აუტანელი მონობის გამო, ურჯულოებში მოექცა და მოსვენება ვერ უპოვია, ვინაობაში დაენია ყველა მდევარი.
4. სიონის გზები დამწუხრებულან, რაკი არ მოდის აღარავინ დღესასწაულზე. ყველა ჭიშკარი სიონისა და ცარიელდა, მამამთავარი მისი კენესიან და ქალწულნი დალონებულან, თვითონ კი ასე გამწარებულან.
5. მტარვალები თავზე დაასხდნენ, ორგულები გულს დაჰხარინან, რამეთუ ღმერთმა გარდმოუვლინა მწუხარება უკანონობის ჩადენისათვის, ტყვეთ ჩაუფარდა მისი შვილები შემაჭირვებულს.
6. იერუსალიმს, სიონის ასულს, ჩამოალამდა დიდება თვისი; თავადნი მისნი ეხეტებიან იმ ირმებივით, საძოვარი რომ ვერ უპოვიათ. მდევნელთა თვალნი დაძრნიან ძალადაცლილნი.
7. უბედურების და გვემის ჟამს გაახსენდა იერუსალიმს ის ნეტარება, რაც მას ნარსულში განუცდია — ჟამს, ოდეს დაცვა ერი ხელმა შემჭირვებლისამ, დამხმარე კი არ ჩანდა არსად. ოდეს იხილეს იგი მტარვალთა, დასცინდეს მის გაუკაცრებლად.
8. ცნოდეთ შესცოდა წმიდა ქალაქმა, ისე იმიტომ გაუწმინდურდა; პატივისმცემელნი ზიზღით სთვალავენ, რაკი იხილეს მისი აუგი. ის კი ოხრავს და უკან მიდის.
9. უწმინდურება წვეთავს მისგან; არ იფიქრა თავის მომავალზე და დაანარცხა უფსკრულის ფსკერს. ნუგემსმცემიც აღარა ჰყავს. უყურე, ღმერთო, ჩემს გასაჭირს, რამეთუ მტერი გაძლიერდა!
10. მის ფიროუხ-ლალეს მტერი ხელთ ნაეპოტინა. ისიც იხილა, როგორ შევიდნენ ურჯულონი შენს წმიდა ტაძარში. ხურც შესულან ისინი შენს ჯამათში!
11. ერი მისი გმინავს ერთიანად; ეძებენ ჰურს და ძვირფას ნივთებს ცვლიან საქმელში — იქნებ როგორმე

მეგობრობის შედეგად

მეგობრობის შედეგად

სული მოითქვან. მიყურე, ღმერთო, თვალი მომაპყარ: როგორ დავეცი!

12. თქვენგან შორს, მგზავრო, რაც მე გადამხდა! ალაპყართ თვალნი და იხილეთ, თუ არსებობს უფრო დიდი სატიკივარი, უფრო დიდი, მე რომ უფალმა გარდმოვივლინა საშინაო მისხვისა დღესა!
13. მალლიდან ძვლების ცეცხლი მანვიმა; დამიმონავა მახე დამიგო; უკან მისროლა; გამასანყლა; ყოველდღე ვგმინავ.
14. უღელი ჩემთა დანაშაულთა მის ხელთ მიბმულა, ორივე ხელი ერთად აწვება ჩემს კისერს; დამაუძღურა; ისეთ ხელს მიმცა მე უფალმა, თავს ველარ ვიხსნი.
15. მე მარგუზა უფალმა ჩემმა ამ ქვეყნის ყველა მოძალადე; და მოახლოვა დრო ჩემთა ყრმათა მოუხრელ ქედის გადასადრეკად; ასე გათელა უფალმა ჩემმა სიქალწულე იუდეის ასულისა.
16. ამაზე ვტირი; ჩემი თვალნიდან გადმოქუხს ცრემლი, რამეთუ შორს არს ნუგემსმცემი, ვინაც რომ სულს მომიბრუნებდა; გაუდაბურდნენ შვილი ჩემნი, რამეთუ მტერი გაძლიერდა.
17. მიშველეთო! — კივის სიონი მაგრამ არ ჰყავს ნუგემსმცემი; უფალმა კი მტერს უბრძანა: იაკობს ალყა შემოარტყით; და მტერთა შორის უწმინდურ ქალსდა დაემსგავსა იერუსალიმი.
18. მართალია უფალი, რამეთუ იგი გაგვანბილეს; ისინი, ხალხი, და უყურეთ სატიკივარს ჩემსას: ქალწულნი და ყრმანი ჩემნი ტყვედ გაირეკეს.
19. მოეუხმობ მოყვასთ, მათ კი ზურგი შემომაქციეს; მოძღვარნი ჩემნი, თეთრწვერანი, სულს დაფავეს დანგრეული ქალაქის ჩრდილოში; ლუკმა-პურს ველარ პოულობენ, რომ სული მოითქვან.
20. მომაპყარ თვალი, უფალი ჩემო, რამეთუ ვწუხვარ. სხეული შიგნით ამიხანძრდა, აჯანყდა გულიც, რაკი შენ ზურგი შემომაქციე; გარეთ ხმალი მემუქრება და სახლში — სიკვდილი.
21. გაიგონეს, ასე ვკენესი, რომ არა მყავს ნუგემის მცემი, და მტერთა ჩემთა სიხარულის ზარი მუდგათ; იქნებ დადგეს დღე და მათ ანოი. რაც შენ ჩემთვის გამოიმეტე.
22. საცნაურ გახდეს გახდეს შენთვის მათი სიავკაცნი, და ისე ჰგვემე, ვითარც მგვემე ჩემი დიდი ცოდვების გამო — რამეთუ დიდ არის კენესა ჩემი, გულისტკივილი.

თავი 2

1. ვითარ შებილნა თავის რისხვით უფალმა ჩემმა იერუსალიმი — ასული წმიდა სიონისა; ზეციდან უფსკრულს ჩაისროლა ისრაელის სიმშვენიერე; არ გაახსენდა განრისხების დღეს ფერხთა თვისთა დასაყრდენიც კი.
2. მოსპო უფალმა იაკობის ყველა პალატნი დაუნდობლად; მრისხანების ჟამს მთლად დალენა დარბაზები იუდეის წმიდა ასულის; პირქვე დაამხო მტვერს გაატანა დიდებულნიც და სამთავრონიც.
3. განრისხებულმა დაუმტვრია რქები ისრაელს; მტერს მოაცილა თავისი მარჯვენა და ჩაანთო იაკობს ცეცხლად — გარშემო რომ შთანთქა ყოველი.
4. მომართა მშვილდი ვითარცა მტერმა, აღმართა

მკლავი ისე როგორც გადამთიელმა, და მოსპო რაც კი თვალს ახარებდა; დაღვარა რისხვა ვითარცა ცეცხლი კარავს სიონის ასულისასა.

5. უფალი ჩემი მტრად გადამექცა, შთანთქა ისრაელი, შთანთქა მისი სასახლეები, იავარჰყო სიმარგები და ასულსა იუდეისას არგუნა მხოლოდ მოთქმა-ვაება.
6. და მოირღვია ღმერთი თავისი, მოსპო თავისი შესაკრებელი, დაავინყა უფალმა სიონს შაბათი და დღესასწაული; ღმერთმა აუგი გაუმიშვლა მეფეს და მოძღვარს.
7. დაამხო ღმერთმა სამსხვერპლო თავისი, იავარჰყო ტაძარი თავისი, მტრის ხელთ გადასცა კედლები მისთა ციხე-დარბაზთა; ისე ღრეობდნენ უფლის სახლში, დღესასწაული იყო ნამდვილი.
8. და გადაუწყვიტა ღმერთმა დამხოვა კედელს სიონის ასულისასა; მოსწია თოკი მოსწია მძღვარად გოდოლი და გალავანი ჩაიქცნენ ერთად.
9. კარიბჭენი დაეშვენ მინად; მიფანტ-მოფანტა, დაამტვრია ურდული მისნი; მისი მეფე და დიდებული ურჯულოთა შორის აღმოჩნდნენ; აღარაა თორა, ნინას-ნარმეტყველთ აღარ ესმით ღმერთის ხმა ციდან.
10. დამსხდარან ჩუმად ცხელ მიწაზე მოხუცი სიონის ასულისა; თავზე მტვერს იყრან, ძაძა ჩაუცვამთ; თავი მინამდე ჩაუქინდრავთ ქალწულთ იარუსალიმის.
11. თვალები ცრემლი ჩამიდამდა, მენვის სხეული, ღვიძლიდან სისხლი მეღვრება მინად, როცა ვხედავ, ვით ილუპება წმიდა ასული ჩემი ერისა; ეს მამბი, როცა ბავშვები და ძუძუმწოვარნი სულს დაფავენ შიმშილისაგან დიდი ქალაქის ბნელ ფოლორცებში.
12. დედებს უხმობენ: გვმია, გვწყურია! და ქუჩებში იხოცებიან დაჭრილებივით; სული ხდებათ დედის კალთებში.
13. აბა რა ვითხრა რას შეგადარო შენ, იერუსალიმის ასული? რას შეგადარო, რომ ნუგემი გცე შენ, ქალწული სიონისაო? შენი ჭრილობა დიდია, ვით ზღვა; ვინდა განგკურნავს!
14. ნინასნარმეტყველნი შენნი მხოლოდ სიცრუეს გიქადაგებდნენ, თვალს არ გიხელდნენ შენს ცოდვებზე, თავიდან რომ აეცდინათ ტყვეობა შენი; მხოლოდ სიცრუეს გიქადაგებდნენ, გზას აგაცდინეს.
15. მგზავრნი უცხონი ხელეხსა შლიან გაკვირვებით; უსტვერენ და თავს აქნევენ მნახველნი იერუსალიმის ასულისა, ნუთუ ესაა ქალაქი, რომ ამბობენ, სრულყო-

ფაო მშვენიერების, სიხარულიაო მთელი ქვეყნისა?

16. ყბად ამოვიღეს შენმა მტრებმა; უსტვერენ და გულდრძოდ კბილებს აღრჭიალებენ: ჩავყლაპეთ; ამ დღეს ველოდით; მოვესწარი; ვიხილეთ.
17. და ქმნა უფალმა, რაც გადაწყვიტა; შესარულა მუქარა ძველუამინდელი; გაგადადგურა დაუნდობლად; გაახარა მტერი შენი გულზე; აამაღლა რქა გადამთიელის.
18. მოესმა უფალს მათი ვედრება: შენ, კედლო სიონისაო, ღვარე ცრემლები მდინარესავით დღისით და ღამით, არ მოისვენო, თვალს ნუ დახრით!
19. ადექი და ილაღადე ღამლამობით! ყარაულის გამოცვლის ჟამს; წყალივით ღვარე შენი გული უფლის ნინამ; ხელეხს შეჰყარე სავერდელად შელითა შენთა სულისა გამო, ფოლორცებში რომ იხოცებიან შიმშილისაგან.
20. ჰოი, უფალი, ნუთუ ვინმეს დამართე ასე: ქალი რომ ჭამდეს თავის ნამობს და ძუძუმწოვარს, ღმერთის ტაძარში რომ ხოცავდნენ მოძღვართა და ნინასნარმეტყველთ!
21. ქუჩაში ყრიან უპატრონოდ ბავშვებს, მოხუციც; ჩემი ქალწულნი და ჭაბუკნი მახვილმა დასცა; შენი რისხვის დღეს დახოცე, ყელი გამოსჭერი, არ დაინდე!
22. და მოინვიე ყველა ჩემი უბედურება ისე, როგორც დღესასწაულზე; დღესა უფლის რისხვისასა ვერვინ გადაურჩა, თავი ვერავინ დააღწია, ვინც კი გავზარდე, ვიამაგე, მტერმა მომისპო.

თავი 3

1. მე ის კაცი ვარ ვინც იხილა ტანჯვა, უფლის რისხვის კვერთხით მიყენებული.
2. ამიყვანა და უკუნეთში ჩამაქცია, არა ნათელსა.
3. ასე მოვიწვი და მოვიდავი ყოველდღიურად.
4. დაადნო ჩემი ხორცი და ტყავი, დამიფეცა ძვლები.
5. ტანჯვის გოლოლი დამეხა, შიგ ჩამამწყველა.
6. უკუნეთში ჩამძირა სადღაც, როგორც დიდი ხნის მიცვალებული.
7. გალავანი შემოავლო და ბორკილებით ჩამომამძიმა.
8. თუ შევბღვლებდი ზეციერსა, ზეცას ხურავდა, რომ არ ესმინა ჩემი ლოცვა.
9. გზა ლოდებით გადამიღობა, თავგზა ამეგზა.
10. ჩემთვის იგი დათვი არის თვალს მოფარული, ლომი არის ჩასაფრებელი.
11. გზას ამაცდინა და დამგლოჯა, არარაობად გადამაქცია.
12. მშვილი მოზიდა, მე კი სამიზნედ დამაყენა.
13. და ისარი დამაყარა მყისვე სხეულზე.
14. მთელი ხალხის სასაცილო გამხადა და ასაგდები ყოველდღიურად.
15. სიმნრით გამაძლო, ნაღვლით მოკლა წყურვილი ჩემი.
16. ჩამიმტვრია კბილები და დამფარა ფერფლით.
17. სიმშვიდეს ველარ მოიპოვებს ან სული ჩემი, სიკეთეც კი გადავივიწყე.
18. ვამბობ: დაეკარგე ძალა ჩემი და იმედი ჩემი ღვთაების.

საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობა

რასთან დაკავშირებულია?

19 ივლისს, პარასკევს საღამოს თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში მოსული მლოცველები მოულოდნელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ: მინხის დამთავრების შემდეგ თუბაზე ავიდა გაბაი თამაზ გორელაშვილი და გააკეთა შემდეგი განცხადება:

— მინდა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ გაცნობოთ, მსურს დავტოვო სალოცავის მთავარი გაბაის თანამდებობა. მინდა წარმატება ვუსურვო მომავალ გაბაის ამ რთულსა და საპასუხისმგებლო სამსახურში. სულ მალე გავაკეთებთ აღწერას და სრულად ჩაგაბარებთ ანგარიშს, თუ რა გავაკეთებთ. წინა გაბაისგან სალოცავის ბიუჯეტი მინუს ექვსი ათასი ლარის ოდენობით ჩავიბარე, ახლა კი 18 ათას ლარზე მეტი გვაქვს. მადლობა მინდა გადავუხადო ყოველ თქვენთაგანს, მადლობა მინდა გადავუხადო ყველას — დამლაგებლიდან დაწყებული შვიდეულით — გამგეობით დამთავრებული. ჩვენ ყველანიარად ვცდილობდით თქვენთვის სასიკეთო საქმის კეთებას. ბევრი რამ გაკეთდა, გასაკეთებელიც ბევრი დარჩა და იმედი მაქვს, ვინც ჩემს საქმეს გააგრძელებს, ჩემზე ბევრ და უკეთეს საქმეს გააკეთებს. კიდევ ერთხელ გილოცავთ შა-

ბათს, მრავალ შაბათს დაგასწოთ ღმერთმა!

რედაქციისგან: მამ ასე, გაბაი თ. გორელაშვილი, რომელიც სულ ათი თვე იმყოფებოდა ამ თანამდებობაზე, თანამდებობიდან გადადგა. ყოველი ადამიანი თავად წყვეტს საკითხს ეკავოს თუ არა ესა თუ ის თანამდებობა, მაგრამ როცა ჯამაათის მიერ არჩეული გაბაი ასე უკომენტაროდ ტოვებს თანამდებობას, გაკვირვებას იწვევს.

თ. გორელაშვილი, მართლაც, ერთგულად ემსახურებოდა ჯამაათს, მისი მუშაობა პატივისცემას იმსახურებდა, შედეგიც სახეზეა. თუ წინა გამგეობის წლების მუშაობის შედეგად ბეით ქნესეთს უარყოფითი ბალანსი ჰქონდა. თ. გორელაშვილმა და მისმა გამგეობამ 18 ათასი ლარი დაუტოვა ბეით ქნესეთს. ეს ციფრები თავისთავად მეტყველებს საქმისადმი დამოკიდებულებასა და პასუხისმგებლობაზე.

თბილისის ჯამაათისათვის ცნობილია, რომ ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში კვლავ დაძაბული მდგომარეობა გახლდათ.

თ. გორელაშვილმა „მენორას“ კითხვაზე თუ რატომ გადადგა არჩეული თანამდებობიდან, განაცხადა:



— ამ თემაზე საუბარი არ მსურს, ვერიდები არ გავალიზიანო ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი თემის ხელმოკლე ოჯახებს მდგომარეობას უმსუბუქებენ.

„მენორას“ კი სურს გამოხატოს ჯამაათის იმ ნაწილის დამოკიდებულება თ. გორელაშვილისადმი, რომელიც დადებითად აფასებს მის მუშაობას და უხდის მას მადლობას კეთილსინდისიერი სამსახურისათვის.

რეაქცია იმდროინდელ ხელმძღვანელზე?



19 ივლისს დიდი სალოცავის მთავარი გაბაი თამაზ გორელაშვილი თანამდებობიდან თავისი ნებით გადადგა. ოფიციალური მიზეზი უცნობია. გაბაის მოვალეობას დროებით, არჩევნების ჩატარებამდე, საარჩევნო და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარე ფირუზ კოჩობაშვილი ასრულებს. ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა, რომ სალოცავის ფინანსური საბუთები სრულ წესრიგში დახვდა და თვითონაც იგივე გზის გაგრძელებას აპირებს. მომავალი არჩევნები ოქტომბრის თვეშია დაგეგმილი, მანამდე კი ბატონი ფირუზი აპირებს ჯამაათი კიდევ უფრო შეამჭიდროვოს და ერთმანეთს მხარში ამოუყენოს.

ფირუზ კოჩობაშვილი: დიდი სალოცავის სარევიზიო კომისიისა და ასევე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი, როდესაც ისეთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა ხდებდა, როგორც მთავარი გაბაის თანამდებობიდან გადადგომა, უფლებამოსილება საარჩევნო კომისიის, ან სარევიზიო კომისიის ენიჭება. თამაზის გადადგომის შემდეგ ფინანსურ და მატერიალურ მდგომარეობაში გარკვევის დრო დადგა. დავინყეთ შემონება და შემდეგ, რომ არ ყოფილიყო ოქმების და აქტების გადაადგილება, თქვეს რომ რამდენიმე თვის განმავლობაში, ახალი არჩევნების დანიშვნამდე, სარევიზიო კომისიამ მართოს დიდი სინაგოგა. სამი კაცი ვართ საარჩევნო კომისიაში, მაგრამ მოვიწვევ ხალხს და ავირჩევთ არა გამგეობას, არამედ

საბჭოს, რომელიც უფრო უფლებამოსილი იქნება, არჩევნების ჩატარებამდე ეს საბჭო მართავს სალოცავს. ჩვენ შევარჩევთ ისეთ ხალხს, რომელიც ერკვევა როგორც ფინანსურ, ასევე რელიგიურ საკითხებში. მინდა ყოველთვის ხალხისთვის ვიყო და მათთვის სასიკეთო საქმეს ვაკეთებდეთ.

— როდის არის დაგეგმილი არჩევნები?

— სავარაუდოდ, ოქტომბრის თვეში. მე გახლავართ საქართველოს წინა მოწვევის პარლამენტის წევრი, ვიყავი სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილე. ამიტომ საარჩევნო კანონმდებლობაში კარგად ვერკვევი. შარშან არჩევნები ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა და ამ კანონს წელსაც არ დავარღვევთ. თუ ჩემს ბიოგრაფიას გადახედავთ, მიხვდებით, რომ ბევრი საპასუხისმგებლო თანამდებობა მეკავა, ახლაც სახელმწიფო სამსახურში ვარ. ჩემთვის უმჯობესია, რაც შეიძლება მალე დაინიშნოს არჩევნები, მე კი ჩემს საქმეს მივხედო, არჩეულმა გაბაი კი — თავისას. თუ ამ წელს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იხვე მე ვიქნები, არჩევნებს მთელ მსოფლიოში მიღებული და აპრობირებული სისტემით ჩავატარებ. წინა არჩევნებზე თავმჯდომარე პირდაპირი წესით ავირჩიეთ, ვხვდებოდი, რომ ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხალხს მივინდეთ. ეს შეცდომა იყო, უნდა აირჩინე გამგეობის წევრები, რომლებიც შემდეგ თავმჯდომარეს აირჩევენ, ეს სისტემა სამართავადაც ადვილი იქნება და ერთპიროვნულ მმართველობასაც თავიდან ავიცილებთ. გამგეობის წევრებს ნები-სმიერ დროს შეეძლება თავმჯდომარის გადაწყვეტილების შეცვლა და საჭიროების შემთხვევაში მისი გადაყენებაც კი. დაინიშნება არჩევნები. პირველი შვიდი კაცი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, გამგეობის წევრი გახდება, პირველი სამი კი გაბაის მოადგილე და მათაც მისი ტოლფასი ხმა ექნებათ. ჩემი აზრით, ეს მართვის სისტემა უფრო უპრიანი იქნება.

— სხვა გეგმები თუ გაქვთ?

— ჩემი კარიერიდან გამომდინარე, მმართველობის ეს კუთხე მესმის და მასში ვაპირებ ცვლილების შეტანას. რაც შეეხება სულიერების საკითხებს, ეს თემა ჩემთვის უცხოა, მართალია გარკვეულ საკითხებში მეც ვერკვევი, მაგრამ სანამ მე ვიქნები, ხალხის, უხუცესების აზრს გავითვალისწინებ. დამოუკიდებლად არაფერს გადავწყვეტ.

— რა მდგომარეობა დაგხვდათ სინაგოგაში?

— საბუთები ნაწილობრივ გადავიბარე. ეს ორგა-

ნიზაცია ადრე, თამაზ გორელაშვილის თავმჯდომარეობამდე შევამოწმე და მისი საქმიანობა მინუსით მიდიოდა. თამაზს კი მივესალმები იმაში, რომ ფინანსური საქმე ხუთიანზე დაგვახვედრა. ყველა დოკუმენტაცია, ყველა ფინანსური საბუთი ადგილზე და მოწესრიგებული დაგვხვდა. მან საფინანსო აღრიცხვის ახალი ეტაპი დაიწყო და ამ ტენდენციას აუცილებლად შევინარჩუნებ.

— თამაზ გორელაშვილის წასვლის მიზეზები თუ იცით?

— მე შეიძლება ვიცი, მაგრამ ჩემი მხრიდან ამის ლაპარაკი სამართლიან საქციელად არ მიმაჩნია. თუ ხალხს აინტერესებს ამ მოვლენის მიზეზი მოვიდეს და პირადად ჰკითხოთ ამ მოვლენის მთავარ მოქმედ პირებს, თამაზს ან იმ ადამიანს, ვისთანაც კონფლიქტი მოუვიდა. ასე სჯობია, ვიდრე ვინმესგან ჭორის დონეზე გარკვეული ინფორმაცია მიიღო. საერთოდ, ადამიანი თავისი ოჯახით ფასდება. მე თამაზის ოჯახის წევრებს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი მის ვაჟს, რომელიც ზრდილობის განსახიერებაა, თუ იგი კარგი აღზრდილია, ეს უკვე მის ოჯახზე მეტყველებს. რადგან ასეთი შვილი ჰყავს თვითონაც კარგი პიროვნებაა.

— თქვენ თუ აპირებთ გაბაის თანამდებობაზე კენჭის ყრას?

— ხალხიც მეკითხება ვიქნები თუ არა საბჭოში, მაგრამ ამაზე პასუხი არ მაქვს. ჩემი აზრით, ჯერ რალაც კარგი უნდა გააკეთო, რომ შემდეგ ხალხმა ავირჩიოს. სავარაუდოდ, ოქტომბრის თვეში ჩავატარებთ არჩევნებს, თუ ამ პერიოდში ხალხს კარგ საქმეს გავუკეთებ, და თუ გამოთქვამენ სურვილს რომ კენჭი ვიყარო, მეც ასე მოვიქცევი. ამ შემთხვევაში, საარჩევნო და სარევიზიო კომისიების დატოვება მომიწევს. მინდა ვიყო გამგეობის წევრი და არა თავმჯდომარე. თუმცა, არ აქვს მნიშვნელობა რა თანამდებობა მეკავება, ყოველთვის დავიკავებ ჩემს ერს და ჩემს სამშობლოს. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ებრაელ ერს დაცვა ნამდვილად არ სჭირდება. მინდა, რომ მთელი ჩემი რესურსი გამოვიყენო და ებრაელი ხალხი კიდევ უფრო შევამჭიდროვო. ჩემი მიზანი ეს არის. მინდა რომ იყვნენ ერთსულოვანი, უყვარდეთ ერთმანეთი და გაჭირვების დროს ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ. საერთოდ, ჯერ საკუთარი ერი უნდა გიყვარდეს, რომ შემდეგ სხვა დააფასო.

ქართული ებრაელები შინ და ბარეთ

ჩვენს ხომ საჩახოვაციოს შვიცაბი ვახით და ვიხნაბით მუდაბ, ხვცაპინდებუხად!..

გიორგი ბაგრატიონი

ალბერტ, ჩემო ბავშვობისდროინდელი მეგობარო! შეგახსენებ, ერთმა გენიოსმა თქვა: „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ!“

ჰოდა, ჩვენც ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ! ჩვენ ხომ ერთ ქალაქში — ქუთაისში ვცხოვრობდით, ერთ ქუჩაზე (ადრე მახარაძის, ამჟამად მერაბ კოსტავას სახელს რომ ატარებს) ვიზრდებოდით, ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ერთ ჯგუფში.

ჩვენი, მე-19 საშუალო სკოლა „ქუხდა“ ქალაქში გულისხმიერი და პროფესიონალიზმით გამორჩეული პედაგოგებით, მოსიყვარულე და ინტელექტუალური მშობლებით, ზრდილი და ნიჭიერი აღსაზრდელებით (ხომ გახსოვს, 11 მედალოსანი მარტო ჩვენი კლასიდან ვიყავით).

უფროსები — როგორც მშობლები, ასევე მასწავლებლები — საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობას, ურთიერთგატანას და სიყვარულს გვინერგავდნენ, ჩვენი თვალსაწიერის გაფართოებაზეც ზრუნავდნენ.

გახსოვს, მოსწავლეთა საქალაქო თვითშემოქმედების ოლიმპიადის მიმდინარეობისას, მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დარბაზში, როცა ჩვენი სკოლის გუნდი გამოდიოდა ტევა არ იყო, რადგან ჩვენთან — მოსწავლეებთან ერთად, სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის უბადლო პედაგოგი, ბატონი ვანო ვარლამიშვილი ვირტუოზულად უკრავდა ვიოლინოზე, რაც სანახაობას განუმეორებელ ხიზლსა და შთაბეჭდილებას სძენდა.

დიახ, ჩვენი საყვარელი ვანო მასწავლებელი — „ქართველი ორფეოსის“ — ზაქარია ფალიაშვილის ალალი დეიდაშვილი და პარიზში მოღვაწე ცნობილი ფერმწერის ფელიქს ვარლას (ვარლამიშვილის) ნახევარძმა, მშვენიერების მოტრფიალე, ჩვენც მშვენიერების აღქმას გვაჩვენდა.

ჩვენი კლასი ხომ მეგობრობითაც თითოთი საჩვენებელი იყო. ჰო, ვმეგობრობდით ისე, რომ ყურადღება არასდროს არ მიგვიქცევია ეთნიკური წარმომავლობისთვის: ოთარ ერისთავი — ულამაზესი ვაჟკაცი და ომარ გალუსტოვი — უნიჭიერესი მათემატიკოსი, კოტე გუგუციძე — არაჩვეულებრივი მოქართულე და ლეილა თეთრუაშვილი — ბრწყინვალე გერმანისტი ლეილა, რტო პალესტინისა, როგორც შემდგომ მისდამი მიძღვნილ ნეკროლოგში დანერს გაზეთი „მენორა“, ჯონდო კახიანი — მანდილოსანთან ურთიერთობის რაინდი და შენ — აბრამ (ალბერტ) ფიჩხაძე — ჩვენი გაჭირვების ტალკვესი.

„მეგობრობა გზად და ხიდად“ — გვმოდვრავს ბრძენი შოთა! ჰოდა, შენ ჩვენთვის, შენი მეგობრებისთვის, ურთულეს სიტუაციაშიც კი ნამდვილი ხიდი, საიმედო დასაყრდენი იყავი (და იქნები კიდევც)! ჩვენ გვახარებს, რომ ჩვენი მეგობრობა ვერც ცხოვრებისეულმა კატაკლიზმებმა, ვერც დრომ და ვერც სივრცემ ვერ გაანეღა, ვერ გააფერმკრთალა, პირიქით, უფრო გააძლიერა, შეადუღა!

და დღემდე ჩემთვის არაფერი არ ჟღერს ისე გულწრფელად, ისე ხალასად, როგორც შენი ნათქვამი: „ჩემი მეგობრები ჩემი განძია!“

ლაღად, უდარდელად გაფრინდა ბავშვობა და ყრმობა... აი, დადგა დრო, როცა თითოეულ ჩვენგანს, ჩვენი გზა და ბილიკი უნდა აგვეჩინა.


შენ, ნათელი გონებით, სხარტი აზროვნებით, აკურატულობით (არა მარტო გარეგნულად, არამედ შინაგანდაც), მუდამ ინოვაციისადმი ლტოლვით გამორჩეულმა, სწავლის გაგრძელება ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე ისურვე. შენი არჩევანი ჩვენთვის მოულოდნელი იყო. პირველი — რატომ საღამოს დასწრებული? მეორე — რატომ ტექნოლოგიური, მათემატიკურის ნაცვლად? არა და, შენ ხომ მათემატიკის რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი იყავი?

ეს გარემოება ასე აიხსნებოდა: პირველი — საღამოს სწავლების დასწრებული, რადგან შენ მშობლებს ალალმართალ, უსპეტაკეს და ყველასგან პატივსაცემ ადამიანებს, ქალბატონ მარო და ბატონ მორდეს ფიჩხაძეებს რვა შვილი ჰყავდათ და შენ უკვე მონიფული ჭაბუკი, სარჩენად და მხრებზე ხომ არ დაანებობდი?!

მეორე კი, მართალია, დედ-მამიშვილებს საოცრად თბილი ურთიერთობა გქონდათ, მაგრამ შენთვის ერთი უფროსი ძმა — ისაკი (ტუტუ) იყო იდეალი, გინდოდა ყველაფერში მას დამსგავსებოდი, ამიტომაც მის ნაკვალევს გაჰყევი.

აქვე მინდა დავსძინო, რომ ბატონი ისაკი არა მარტო ოჯახის და ებრაული თემის, არამედ ქუთათური ქართული ინტელიგენციის თვალიც იყო. ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასულს, დღესაც მოისაკლისებენ, როგორც შინაურები და თანამოძმეები, ასევე კოლეგა-მეგობრები, როგორც სულით მდიდარ ადამიანსა და არაჩვეულებრივ პროფესიონალს.

უმალღესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ | ატელიეში დაინყე მუშაობა, შემდეგ კი მერვე სამკერვალო ფაბრიკაში, სადაც განვლე



გზა რიგითიდან მთავარ ტექნოლოგამდე; საესებით კანონზომიერია ის ჯილდოები, რომელნიც მაშინ დაიმსახურე!

ახალგაზრდობის ჭეშმარიტი ლიდერიც იყავი, ქუთაისის პროფტექნიკურ სასწავლებელში დირექტორის მოადგილედ მუშაობისას.

„ახალგაზრდობა ჩვენი მომავალის, ახალგაზრდობა ჩვენი კაცობის, ჩვენი სინდის-ნამუსის გაგრძელებაა“ — აი, შენი მრწამსი და ახალგაზრდობამაც სიყვარულის წილი სიყვარული მოგაგო.

დღემდე შენს არქივში უძვირფასეს რელიკვიად ინახება მათი მადლობის ბარათები (ლექსებიც კი)!

„და გარბოდნენ დღეები, თვეები, წლები, ვითარცა ნაბდით დაჭედილი ბედაურები!“

ჰო, გარბოდნენ... და აი, 1967 წელს კულაშელი სამი რაბის, ძმები — მიხელაშვილების ოჯახმა ისტორიულ სამშობლოს — წმინდა მიწას მიაშურა. შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ „რკინის ფარდა“ ჩარაზა.

მსოფლიოს მთელი პროგრესული საზოგადოება შესძრა 18 ქართველი ებრაელი ოჯახის წერილმა, რომელიც მათ 1969 წლის აგვისტოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს მისწერეს თხოვნით, რათა მათთვის თავიანთ ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში რეპატრაციის (ალიის) ნება მიეცათ.

ეს წერილი ეპოქალურ მოვლენადაა მიჩნეული, როგორც ქართველ ებრაელთა უმაგალითო მამაცობა, რომელმაც დასაბამი მისცა წმინდა მიწაზე მანამდე არგაგონილ, არნახულ რეპატრაციას (ალიას).

ჭეშმარიტად, გული სიამაყის გრძნობით მევსება, როცა ვიხსენებ, რომ იმ 18 ებრაელის ოჯახიდან 13 ქუთაისელი ებრაული ოჯახი იყო!

ქუთაისი — იმერეთის ძველი სტახტო ქალაქი ხომ ოდითგანვე იყო არა მარტო ქრისტიანული, არამედ იუდაისტური რწმენის მექა, სარწმუნოების ციტადელი. სწორედ, რწმენამ გადაარჩინა ჩვენი ერი ჟამთა სიავეს.

დიახ, რწმენა იყო (და არის) ჩვენი ერის მაცოცხლებელი დვრიტა!

ქუთაისში ხომ დიდებული ერის ქურუმები, დიდი რაბებიც მოღვაწეობდნენ, რომლებიც ახალგაზრდობას ერის რაობას, მის არსს სიღრმისეულად ასწავლიდნენ.

ალბერტ, შენ უთუოდ გაგიმართლა! შენი სულიერი მოძღვარი ხომ დიდი რაბი ხახამ იაყობ დავარაშვილი იყო, „კაცი, რომელიც იდგა თებაზე, ვითარცა მუხა ძლიერი, დიდებული ხმით, უბრალოდ ორატორული ნიჭის მქონე, დახვეწილი მანერებით, სხივმფინარი სახით და მომწუსხველი თავისი ბრძნული საუბრით“, — აი, ასე იგონებენ მას თანამედროვენი.

ბუნებრივია, შენი ღვთისმოსავი მშობლების თეოლოგიურმა აღზრდამ, დიდი რაბების შთაგონებებმა, რაბი იაყობის იემიდაში თალმიდობამ, თანამოძმეებთან სულიერმა სიახლოვემ, (იმ დროისათვის აკრძალული) რელიგიური ლიტერატურის კითხვამ შენს ებრაულ არსებაში დიდი ნაპერწკალი ჩადო, რომელიც თანდათან გაღვივდა და ისეთ მხურვალე კოცონად იქცა, რომ ყველა ჩვენგანის სულს დაეუფლა უწმინდესი სწრაფვით: ჩემი ისრაელი! ჩემი ისტორიული სამშობლო! ჩემი წმინდა მიწა!

აგისრულდა სანუკვარი ოცნება, ალბერტ! 1972 წელს ოჯახითურთ განახლებული ალიის ძლიერ ტალღასთან ერთად წმინდა მიწაზე ახვედი!



მეუღლესთან — ცისოსთან ერთად

ილო იოსებაშვილი – „თარბუთის“ ქველი ახალი პრეზიდენტი



ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში, ამ ქალაქის ქართველ ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „თარბუთი“ ამ 19 წლის წინათ შეიქმნა. მისი პირველი პრეზიდენტი პოეტი და პროზაიკოსი უმანგი რიჟინაშვილი გახლდათ. სამი წლის შემდეგ კი მას ბიზნესმენი ილო იოსებაშვილი ჩაუდგა სათავეში.

ილო იოსებაშვილი მთელი ათი წელიწადი მეთაურობდა „თარბუთს“. შემდეგ კი საზოგადოებრივ ორგანიზაციას აკადემიკოსი მიხეილ როკეტლიშვილი ჩაუდგა სათავეში.

ამას წინათ ილო იოსებაშვილს კვლავ უხმეს და სთხოვეს უხელმძღვანელოს „თარბუთს“. იგი ერთხმად იქნა არჩეული „თარბუთის“ ახალ პრეზიდენტად.

„მენორასთან“ საუბარში ილო იოსებაშვილმა თქვა:

– როგორც იცით, ამ ორგანიზაციას მეორედ ჩაუდგეი სათავეში. ამჯერად უფრო მასშტაბური მიზანი გვაქვს. ჩვენს სხდომებზე, შეხვედრებზე ნიუ-იორკის ქართველი ებრაელების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები არიან. ახლა კი გვინდა, მეტი ვიმუშაოთ ახალგაზრდობაში, რომ მომავალში მათ გააგრძელონ ჩვენი დანაწესილი საქმე. გვინდა, მათ კარგად გაისიგრძეგანონ ქართველი ებრაელების არსი, მისი ისტორია. ის, თუ როგორ ვცხოვრობდით საქართველოში 26 საუკუნის განმავლობაში, რით წამოვედით საქართველოდან.

– უახლოეს მომავალში რას გეგმავთ?

– ჩვენი პრიორიტეტი უცვლელია: ქართველი ებრაელების წარსული, დღევანდელი, მომავალი. ეს ერთი. მეორე: ინგლისურ ენაზე გამოვიდა ოთარ სეფიაშვილის წიგნი. გვსურს მოვანყოთ ამ წიგნის პრეზენტაცია ნიუ-იორკში მცხოვრებ ებრაულ თემებში.

დაიწყო ახალი ცხოვრება ახალ გარემოში, ახალი ნაცნობების გარემოცვაში. ებრაული ენის დასაუფლებლად ულპანში დაიწყო სიარული, სადაც მრავალი თანამოძმე, თანამოაზრე და საინტერესო პიროვნება გაიცანი, დაუმეგობრდი კიდევ. ბუნებრივია, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, დავასახელებ მხოლოდ ჩვენი თემის უსაჩინოეს შვილს, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეს, გაზეთის — „ალია საქართველოდან“ დამფუძნებელს, გამომცემელსა და მთავარ რედაქტორს, ბატონ აბრამ საპირს (სეფიაშვილს). თქვენი მეგობრობა დღემდე მყარი და გულთბილია.

ალბერტ, შენი მშვიდი, განონანსორებული ბუნება, საოცარი კეთილმოსურნეობა, ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი, ორგანიზატორის უნარ-ჩვევები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ამიტომაც შრომის პარტიის წევრად აგირჩიეს. მალე პროფესიით დაიწყო მუშაობა.

ქალაქ კირიათ-ათაში ახალი ამოსულების — ოლქეხადაშების განთავსების საქმე მოგანდეს. ხშირი იყო შემთხვევა, როცა მშობლებსა და შვილებს, დედ-მამიშვილებს, ახლო ნათესავებს ერთად ვერ ასახლებდნენ, არადა, ებრაელობა ხომ ყოველთვის კომპაქტურად იყო დასახლებული, ახლობლების განცალკევება კი მათ უკმაყოფილებასა და უსიამოვნებას იწვევდა.

სხვა სირთულეებიც იყო და რაოდენ სასიხარულოა, რომ გონიერებამ და პუმანურობამ ყველა პრობლემა მხოლოდ წარსულის მოგონებად აქცია...

1973 წელს, როგორც შენი სამშობლოს გულმხურვალე ჭირისუფალი, სხვა მგზნებარე პატრიოტებთან ერთად მონაწილეობდი ისრაელ-ეგვიპტის (ქიფურის) ომში.

მეტად საინტერესოდ და შინაარსიანად ცხოვრობდი ისრაელში, სადაც საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდი.

1983 წლიდან ბელგიაში, ქალაქ ანტვერპენში ცხოვრობ.

ანტვერპენი ევროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპორტო და სამრეწველო ქალაქია. აქ საქართველოდან გამოსული ებრაელობა ძირითადად 70-იანი წლებიდან დასახლდა, ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გაქვთ სინაგოგა, სადაც სრულდება მამა-პაპათა ადათ-წესები და ებრაული რიტუალები.

ბელგიაში საცხოვრებლად გადასვლა კი იმან განაპირობა, რომ შენი მემკვიდრე დათო ისრაელის კოლეჯში სწავლისას ბიოლოგიაში საოცარ მონაცემებს ამჟღავნებდა. მაშინ კოლეჯის პედაგოგებმა გირჩიეს: 21-ე საუკუნე ბიოლოგიის საუკუნეა, ხოლო მეცნიერების ეს სფერო ბელგიაში განვითარების ზენიტშია და ვაჟიშვილის ნიჭს ფართო გზა მიეცითო.

შენც ყურადღივე პედაგოგების რჩევა და ასეც მოიქეცი. იქაც მრავალი მეგობარი შეიძინე, გაქვს ბიზნესი, ეწევი ქველმოქმედებას, თავისუფალ დროს ბიბლიის სიღრმისეულ შესწავლას ანდომებ.

ბელგიის მოქალაქე, იმავდროულად ისრაელის მოქალაქეც ხარ და მუდმივად ისრაელის ცხოვრების მაჯისცემას აყურადებ...

„ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა“, — უთქვამთ ინგლისელებს.

ჭეშმარიტად, შენი ოჯახი მართლაც ციხე-სიმაგრეა, რადგან ბურჯად ისეთი პიროვნება უდგას, როგორც შენ ხარ, ხოლო დედაბოძი ცისო ნანიკაშვილი, დიდებული ოჯახიშვილი, ცნობილი ბიზნესმენის, დიდი ქველმოქმედის გელოდი ნანიკაშვილის და. ცისო ხომ ჩინებული მეუღლე, არაჩვეულებრივი დიასახლისი, მოსიყვარულე დედა და ტკბილი დედამთილია.

თქვენი სიამაყე კი თქვენი შვილებია — დავითი და შარონა.


დავითი ანუ ებრაულად „გულით საყვარელი“ 1968 წელს დაიბადა ქუთაისში და რიონისპირა ქალაქს დღესაც ტკბილად იგონებს. მან ინგლისურ ენაზე ამერიკის ინტერნაციონალური სკოლა დაამთავრა, სწავლა განაგრძო ბოსტონის უნივერსიტეტში სამედიცინოს განხრით.

1985 წელს მონაწილეობა მიიღო ქალაქ ჟენევაში გამართულ მათემატიკურ მსოფლიო კონკურსში და დიდ წარმატებასაც მიაღწია.

— ყოჩაღ, დათო! ქოლა ქაბოთ, დავით!

ბუნებაში არაფერი იკარგება. და აი, აქაც თავი იჩინა შენეულმა ანუ მამ-

„სამი ლოცვა“



თბილისში პროგრამა „სტარსის“ დახმარებით გამოიცა წიგნი „სამი ლოცვა“, რომელშიც, ებრაულ წყაროებზე დაყრდნობით, მოცემულია ლოცვების - „აშრე“, „ყამიდა“ და „ყალენუ ლეშაბეხის“ ტრანსლიტერაცია, თარგმანი და კომენტარები - ქართულ ენაზე. ამ ლოცვების კომენტარი ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად, ნაშრომის თარგმანი და კორექტირება ეკუთვნის რაე ხაიმ ქოენს და თბილისის სალოცავ „ბეით რახელის“ ხახამს - აპარონ მდინარაძეს. დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ სალოცავ „ბეით ახელის“ გაბაის იოსეფ მოშიაშვილს.

ისეულმა გენებმა.

დავითის მეუღლე თბილისელი ქართველი ებრაელია, საკუთარი ქალიშვილივით საყვარელი, ქალბატონი მარინა. მათ ჰყავთ ორი შვილი, რომლებზეც ბებია-ბაბუას მზე და მთვარე ამოსდით!

შენი ქალიშვილი შარონა დაიბადა ბელგიაში 1985 წელს. წარჩინებით დაამთავრა ანტვერპენის უნივერსიტეტი ეკონომიკის განხრით, მუშაობს სპეციალობით, გასათხოვარია.

ალბერტ, ჩემო ბავშვობისდროინდელი მეგობარო!

შენ უკვე 70 წლის გახდი! იუბილარი ხარ!

ჰოდა, ჩვენი დიდი სამეგობროს სახელით სახელოვან თარიღს გილოცავ. დაე, სიხარული, ბედნიერება, ზღვა სიყვარული, ღვთის წყალობა ნუ მოგკლებოდეთ შენ და შენს ლამაზ ოჯახს ნევრებს.

გეფერებით, გვიყვარხართ, ვამაყობთ შენით!

მრავალჯამიერ! ლეხაიმ! ამინ!

შეიძლებოდა თხრობა აქ დამესრულებინა, მაგრამ, უთუოდ უნდა გიამბოთ ასეთი ეპიზოდი.

ვიგონებ 2004 წლის ქუთაისს. ოქტომბერი იდგა. შენ და ცისო ბელგვიდან ჩამოფრინდით, რათა თქვენი ქორწინების 35 წლის საიუბილეო თარიღი ჩვენთან, შენს დიდ სამეგობროსთან, აღგენიშნათ.

საოცრად თბილი ატმოსფერო იყო, თითქოს ზღაპარში მოვხვდით. არასოდეს დამავინყდება შენი ასეთი სადღეგრძელო:

„ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის საქართველოდან შორს ცხოვრება არასოდეს არ ყოფილა განშორება, მე მუდამდღე ნოსტალგიას ვგრძნობდი, სეველას კი მიქარვებს იმის შეგრძნება, რომ ოცნებით მუდამ თქვენთან ვარ!

მამ, გაუმარჯოს ჩვენთვის საყვარელ საქართველოსა და მის კაცთმოყვარე ხალხს.

ჩვენც ხომ საქართველოს შვილები ვართ და ვიქნებით მუდამ, კვლავინდებურად!..“



ოჯახურ გარემოში

სიზმარი

ბალტიისპირეთში, მწერალთა ზღვისპირა აგარაკზე, დუბულტაში პიესას ვამთავრებ... ძალიან კარგი პირობები გვაქვს. სატელეფონო საუბარში მეუღლეს ყოველდღე ვეკითხები დათუნას ამბავს. დათუნა – გიგლა ხუხაშვილის უფროსი ვაჟიშვილია — ღირსებით შემკული ყმაწვილი. მეუღლე სასიამოვნოს ვერაფერს მპასუხობს. ერთ ღამეს სიზმარს ვხედავ: ძველებური „ვოლგა“ ჩერდება, მანქანიდან ჯერ აფორიაქებული, შემფოთებული გიგლა გადმოდის, კარს მოიჯახუნებს და სადღაც გარბის, მერე მისი ცოლისძმა — ოთარ სეფიაშვილი გადმოდის მანქანიდან, ისიც კარს გიგლასავით აჯახუნებს და გარბის, მერე მე — მეც ისევე ვიქცევი, როგორც გიგლა და ოთარი.

დღლას თბილისში ვრეკავ, მეუღლეს დათუნას ამბავს ვეკითხები. დუმილი. პაუზა კარგა ხანს გრძელდება. მერე ცრემლშერეული ხმა: „ნამოდი, დღესვე ნამოდი“.

რაბი ვერ მოვატყუე

ჩემმა მეგობარმა ეფრაიმ გურმა ლიკა ზონენაშვილი შეირთო. ლიკას პირველი ქორწინებიდან ჰყავს ერთობ ზრდილი ვაჟი — დათო. ლიკასა და ეფრაიმის ქორწინებიდან დიდი დრო არ გასულა და დათო დაქორწინდა. გამობდა ხანი. დათოს შვილი შეეძინა, ესეიგი ჩვენი ძვირფასი კარლოს შვილთაშვილი! ერთ დღეს ჩემთან მოდის სპორტული კომენტატორი ჯამლექ ხუხაშვილი და მეუბნება:

— კარლოს, ვიცი, პატივს სცემ, ეფრაიმს — კიდევ უფრო მეტად. აგერ, მეც აქა ვარ. კარლოს და ეფრაიმს ძალიან უნდათ, რომ დათოს ბავშვი მოინათლოს. მერე რა პრობლემა არის-მეთქი. დათოს

ხომ იცი, გურამი ყველას უყვარს?“ჯ. ხუხაშვილის პასუხი: „რაც ვთხოვე, არაფერი გამიკეთა, სადღეგრძელოში თუ რამე შემემლუბოდა, მისწორებდა“.

მეგრული სიმაღრა

2003 წლის 22 იანვარს იერუსალიმში თავი მოიყარა მსოფლიოს ლამის ყველა კუთხეში მცხოვრებმა ქართველ ებრაელთა წარმომადგენლობამ. აქ, ისრაელის ერთ-ერთ უმთავრეს დარბაზში, „ბინიანი ჰაუშიმი“ — „ერების სასახლეში“, იქმნებოდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი. 20 წლის წინათ, საბჭოთა კავშირის ერთ პატარა, მშვენიერ რესპუბლიკაში — საქართველოში მცხოვრები ებრაელები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმოიფანტნენ. დღეს ქართველი ებრაელები ცხოვრობენ ისრაელში (ყველაზე მეტი), აშშ-ში, რუსეთში, ბელგიაში, უნგრეთში, ესპანეთში, ავსტრიაში, ამბობენ ავსტრალიაშიცო და ცხადია, საქართველოში (ძალიან ცოტა). ამ ადამიანებმა ერთ ჭერქვეშ რომ იგრძნონ თავი, ამ მიმოფანტული ეთნოსის გაერთიანებისათვის იქმნებოდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი: შესაძლოა, ჩვენ სხვადასხვა კონტინენტებზე ვცხოვრობდეთ, მაგრამ მამა-პაპური ტრადიციების შენახვის სურვილი კვლავაც გვაერთიანებდეს.

ყრილობაზე კონგრესის პრეზიდენტად აირჩიეს მოში (მიშიკო) მირილაშვილი. კაცი ერთობ საამო და იმერული ზრდილობით დამშვენებული, თანათავმჯდომარეებად: შვეიცარიაში მოღვაწე მეცნიერი, პროფესორი შალვა მარდი-მარდახიანიშვილი ქუთაისიდან ნასული კაცი, ქ. ამქელონის ვიცე-მერი შაბთაი ცური-ცოციაშვილი, ვანიდან ნასული კაცი და თქვენი მონა-მორჩილი.

გადაგიღებდა, რამდენიმე დღეში დაბეჭდავდა და მოჰქონდა კიდევ. მუზეუმის ფოტოგრაფის ხელფასით ცხოვრობდა, ჟურნალშიც დაგვიბეჭდავს მისი ფოტოები — ამა თუ იმ სპექტაკლის სცენები. ამაში ჰონორარს ლეზულობდა, მაგრამ...

ალბათ, 1994 წელი იქნებოდა — ამ წლებში სახელმწიფო მეთაურის — ბნ ედუარდ შევარდნაძის საკონსულტაციო საბჭოს წევრი გახლდით — ჩვენი საბჭო ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტებს ეცნობოდა, შემდეგ სახელმწიფოს მეთაურთან სხდომაზე განიხილავდა. ერთხელ სახელმწიფო მეთაურის მოადგილესთან — ჯაბა იოსელიანთან რომელიღაც დოკუმენტს უნდა გავცნობოდი და მასთან მივედი. ჯაბა იოსელიანს ადრეც კარგად ვიცნობდი, ჩვენი ჟურნალის -- „თეატრი და ცხოვრების“ ავტორი იყო, მოგვიანებით, როცა თეატრის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმის დირექტორი გახდა, კონტაქტები კიდევ უფრო გაძლიერდა. ჯაბასთან, მისი ყოფილი თანამშრომელი ოთარ სახოკია დამხვდა. ოთარმა რომ დამინახა, ჯაბას შესაძახა:

-- ჯაბა, ეს საქმე გურამისაც გავუკეთოთ, გურამი ხომ კარგი ბიჭია!

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ჯაბამ ყურმილი აიღო და ვილაცასთან საკმაოდ ცხარე საუბარი გააბა. მე კი ოთარს ვკითხე, რა ხდება, მე რა უნდა გამიკეთოთ-მეთქი, ოთარმა არ დააყოვნა — უმალ მიამბო:

— აგერ, პირდაპირ, რუსთაველის პროსპექტზე, გამომცემლობა „მერანი“-ს გვერდით ჯაბამ ერთი დიდი ფართობი მარჩუა, ხომ მაგარია! შენთვისაც გავაკეთებინოთ, იქვე გვერდით.

მე უცებ მეგრულად შევძახე: — მუშოდ მოკო, მა ვა მოკო! ოთარი გაცოცდა, რატომ არ გინდაო, ამასობაში

ბურამ ბათიაშვილი

სახეობა და სიჭუქოსობა

რამდენიმე თავი მეორე წიგნიდან

მეუღლე არ არის ებრაელი, მთავარი ხომ დედაა — თუ დედა ებრაელი არ არის, ბავშვი ებრაელად არ მიიჩნევა და არც ნათლავენო.

ცხადია, ეს არასასიამოვნო ცნობა იყო. ჯ. ხუხაშვილს მივაჩერდი, ამ საქმეს რა ეშველება-მეთქი. ის კი მეუბნება: საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი არ შერება. შენ არიელ ლევინი ძალიან გენდობა, პატივს გცემს. უნდა უთხრა, რომ ბავშვის დედა ებრაელია.

ხუხაშვილის ნათქვამი მემცხეთა, ამ წინადადებას ისე მაძღვეს, თითქოს მეპატიჟება, ხვალ ფეხბურთზე, თეატრში წავიდეთო. ვერ ვიზამ მაგ საქმეს-მეთქი, ვუთხარი. ხუხაშვილი არ ცხრება:

— ხომ იცი, კარლო რა ბიჭია, კარლოს ძალიან უნდა შეილთაშვილი მოინათლოს, ეფრაიმი შენი ახლო მეგობარია, იმათი გულისთვის უნდა ნახვიდე ამ საქმეზე, მეც გთხოვ აგერ, გავუკეთოთ კარლოს და ეფრაიმს ეს საქმე.

ვიგრძენი, თუ რაოდენ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, კარლომაც და ეფრაიმმაც კარგად იცანს, თუ რას ნიშნავს ეს, განსაკუთრებით ეფრაიმმა — ისრაელელი კაცია. იციან და ამიტომ თავად არ მითხრეს. ორივეს შეეძლო ეთქვა, ეფრაიმს მით უფრო, რადგან ჩვენ ახლო მეგობრობა გვაქვს.

როგორც ჩანს, ამან, ხუხაშვილმა იდო თავს ეს მისია — გურამს მე გავაკეთებინებო. მართლაც, შეუჩერებლად, უპაუზოდ ლაპარაკობს, მე კი ასეთ სიცრუეს რაბის ვერ ვაკადრებ, ვერც — საკუთარ თავს. უარს რომ ვუთხარი, ხუხაშვილი სპორტული ჟინით მახსენებს, რომ მეგობრობაა მთავარი, რომ ლევინი მე დამიჯერებს.

— რატომ დამიჯერებს?

— იმიტომ რომ გენდობა.

— და მე ეს ნდობა... არა, მე ამას არ გავაკეთებ — ხმამალა ვამბობ და მანქანიდან ნაწყენიც კი გადმოვდივარ. განაწყენების მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ კაცს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩავეყენებინე, ახლა ეფრაიმი და კარლო? გამოდის: ეს კარგი კაცია, ბევრი ეცადა, გურამს ძალიან „მიანვა“ და აი, რა ცული კაცია გურამი, მეგობრისთვის არაფერი გააკეთა!

იმ დღეს უნდა დამესვა ნერტილი ჯ. ხუხაშვილთან ურთიერთობისათვის: ხომ დავინახე, რა მეთოდებით აკეთებს საქმეებს, ხომ შევიცანი, რა გზებით აღწევს მიზანს, რატომ გავაგრძელე მასთან ურთიერთობა, განა არ ვხედავდი, მორალურ-ზნეობრივ შეუთავსებლობას?

P.S. წლების შემდეგ, როცა ჩემს წინააღმდეგ ბინძური ბრძოლა წამოიწყო და ცდილობდა ჩემი მეგობრები ჩაერთო ამ ბრძოლაში, ერთ ცნობილ თეატრმცოდნეს, პროფესორს უკითხავს: „მასთან ხომ კარგი ურთიერთობა გქონდა, ასე რატომ ებრძვი,

სალამოს დიდი კონცერტიც გაიმართა, მობრძანდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი, მოგვილოცა. მერე შალვა მარდი, ისრაელის ქართული ტელევიზიის რეჟისორი სოსო იოსებაშვილი და მე იერუსალიმის ტელევიზიაში მივცინივს. აქვეა ჩვენი შოუვარსკვლავი ვახტანგ ტატიშვილი. იგი თბილისიდან საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობისათვის მოიწვიეს. ღია ეთერში გაიმართა დიპლოგი კონგრესის ამოცანებზე, იმაზე, თუ რას, როგორ და რით გააკეთებს კონგრესი. ბოლოს კი პროგრამის წამყვანი აცხადებს: სადაც სამი ქართველი შეიყრება, დიდებული სიმღერა ისმის, თქვენ კი, აგე თავმჯდომარეები, რეჟისორები...

შალვა მარდიმ დაუყოვნებლივ და უბრალოდ თქვა: რომ იცოდეთ, რა კარგი მსმენელი ვარ, გადაიროდეთო, სოსო იოსებაშვილმა უხმოდ გააქცია თავი. ჯერი ჩემზე მოდგა, ვიცოდი, რომ მოდგებოდა, რადგან ვახტანგ ტატიშვილი კადრში არ იყო, იგი ჩვენს მერე გავიდოდა ეთერში — იუმორით. ამიტომ ახლა თუ მე არ გამოვასწორებ მდგომარეობას, საქმე ძალიან ცუდადაა. მე უნდა ვიმღერო, მაგრამ როგორ? მე ხომ არც ხმა მაქვს, არც — სმენა, ჩემთვის სახელი თუ ნამილიღინია, თორემ მსოფლიოში ვერავინ იტყვის, გინა სიჭაბუკეში, გინა ახლა, სიჭარმაგისას, ამისი სიმღერა გამიგიაო, არადა, სხვა გზა არ არის... როგორ, რანაირად? და უცებ თითქოს თავისთავად, ავმღერდი. „ასე ჩონგური ქოვოქუათი...“ შიშმა ამამღერა? საქართველოს, ქართველი ებრაელობის შერცხვენის შიშმა? მე სამეგრელოში გაზრდილი კაცი ვარ, მიმაჩნია, რომ მეგრული მუსიკალური ფოლკლორი მსოფლიოში გამორჩეულია, იგი მშობლიურია და ძლიერ მიყვარს, დროდადრო ჩემთვის წავილიღინებ ხოლმე. ახლა მშობლიურმა ამოხეთქა?

კარგად მიდის, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, სუნთქვა მალაატობს, სუნთქვა ნამდვილად მალაატობს. ისე რომ კადრში არ გამოჩნდეს, ვახო ტატიშვილს ვანიშნებ, მიშველე-მეთქი, ისე ლამაზად „შემოვიდა“, ისე ლამაზად „ჩამომართვა“ სიმღერა, მერე მეც მივეყვი, ვგრძნობდი, კარგად გამოდიოდა.

მერე? მერე რა მოხდა? განსაკუთრებული არაფერი, თუ იმას არაფრად ჩავთვლით, რომ სამეგრელოდან ნასული ებრაელები აფორიაქდნენ — მთელი სალამოს განმავლობაში რეკავდნენ, ეს რა გვიყავი, ლამის ცრემლმორეული ვისმენდითო.

არა გული გითმოდეს...

ოთარ სახოკია — საქართველოს თეატრის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფოტოგრაფი ერთი ჩვეულებრივი, ძალზე კეთილმოსურნე, ღიმილიანი და თავაზიანი კაცი იყო. დღესასწაულის დღეებში, თავყრილობებზე სურათს უთუოდ

ჯაბამ სატელეფონო საუბარი დაამთავრა და ღიმილით იკითხა, რა მეგრული გააბით აქაო. ოთარმა უთხრა:

— ა, უყურე შენ გურამს, არ მინდაო, ამბობს. ჯაბას გაეცინა, გურამს არ იცნობო?

დოკუმენტი წავიკითხე, ხელიც მოვანერე და გამოვვიდი.

საქართველოში ჟამიანობა იდგა. ყველაფერი ჭირდა, ყაჩაღობაც მომძლავრებულიყო და უმეტესწილად უმანქანოდ, ფეხით დავდიოდი (შეიძლება მანქანა წაერთმიათ). რამდენიმე დღეში რუსთაველზე, სწორედ გამომცემლობა „მერანთან“ გავიარე. ოთარი იქ იდგა, აქ რას აკეთებ-მეთქი. აი, ეს სომეშჩენიე“ მომცა ჯაბამო, დამანახა. კარგა მოზრდილი სათავსი იყო. ორი ათას დოლარად გავაქირავე. ძლიერ უხაროდა.

ორი ათასი დოლარი დღესაც დიდი ფულია, მაშინ, იმ წლებში კი კოლოსალური თანხა გახლდათ. თვეში 100 დოლარად ოჯახი იცხოვრებდა.

გამოხდა ხანი. 1995 წლის აგვისტოში მოხდა ტერორისტული აქტი. სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე სიკვდილს გადაურჩა. ჯაბა იოსელიანი დააპატიმრეს.

ერთ დღეს ისევ იქ გავიარე — გამომცემლობა „მერანთან“, ოთარ სახოკია კვლავ იქ იდგა. მივესალმე, მოვიკითხე. გაღიზიანებული ჩანდა, იგინებოდა.

— „ეს არის კანონი? ესენი ვინ არიან, მართმევენ, წამართვეს ეს სათავსი. რატომ, რისთვის!“

ოთარს ვუთხარი დაანებე თავი, ცოტა ხეირი ხომ ნახე, იმას დაჯერდი-მეთქი. არაო, კვლავ გინებას მოჰყვა, ამ უკანონობას არავის შევარჩენო.

ამ წყნარ, მშვიდ კაცს ვერაფრით ვერ გაეგო, თუ რატომ ართმევდნენ ამ სათავსს. გითხარით, უმეტესწილად უმანქანოდ დავდიოდი-მეთქი, ოთარი ხშირად მხვდებოდა იმ ადგილას, სადაც მისი ყოფილი სათავსი იყო და ახლა სხვას ეკუთვნოდა. ბრაზობდა, იგინებოდა, მერე აღარ შემხვედრია, ვიკითხე, სად არის, რატომ არ ჩანს-მეთქი, გარდაიცვალაო.

უპიეთის პიესა

გიგლა ხუხაშვილი ძალიან ემოციური კაცი იყო. ადამიანის მიერ ჩვეულებრივი, კეთილგანწყობილი მოკითხვაც კი ახარებდა, ბოროტი ენა კი მასაც, ისევე როგორც სხვებს გულს უკოდავდა. ერთხელ ერთხელ რედაქციაში ჩემს ოთახში რომ შემოვიდა, ჟურნალის კორექტურას ვკითხულობდი. ნომერში მისი სტატიაც იბეჭდებოდა, მოვხანე მისი გვერდები, მივანოდე, ნაიკითხე-მეთქი. უგუნებობა შევატყვე — მას შემდეგ, რაც უფროსი შვილი — დათუნა გამოეცალა, სევდა, კაემანი გიგლას თანამდევნი გახდა, ამიტომ, ისე რომ ჟურნალის გვერდებისათვის თვალი არ მომიცილევ-

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი



კვირის რუბრიკა

„და შევედრა გამჩენს იმ დროს“, „და მითხრა გამჩენმა მე, საკმარისია, აღარ ილაპარაკო ამაზე ჩემთან“.

ჩვენი დღეა ბრძენებმა, კურთხეულია მათი ხსოვნა, ბრძანეს, რომ როდესაც მომე რაბიინუ გამჩენს ისრაელის მინაზე შესვლას ვეგდრებოდა, მან 515 ლოცვა წარმოს-

თქვა. ეს სიტყვის „ვაეთხანან“ – „და შესთხოვდა“ გემატ-რიას, რიცხოვრივ მნიშვნელობას შეესაბამება. მოშე ლოცვის დროს იმედს იქამდე არ კარგავდა, სანამ გამჩენმა კიდევ ერთი ლოცვის დამატება არ აუკრძალა. რატომ არ იყო გამჩენი ერთი ლოცვის დამატების მომხრე? იმიტომ, რომ არ არსებობს ლოცვა, რომელიც ზეცას არ აღწევს. ეს კი იმ ადამიანის ქმედებას ჰგავს, რომელიც კედელს ბურღავს. მხოლოდ დიდი ხნის ბურღვის შემდეგაა შესაძლებელი კედლის გახვრეტა. თუ ადამიანი კვლავ და კვლავ მთელი გულით ლოცულობს, მისი ლოცვა მიიღება. მოშე რაბიინუს მხრიდან ერთი ზედმეტი ლოცვაც და გამჩენი მიიღებდა. სწორედ ეს იყო აკრძალვის მიზეზი.

გემარაში „ბრაზით“ ლოცვის ძალაზე მოგვითხრობენ: მეფე ხიზკიაუ სიკვდილის პირას იყო, როცა მასთან წინასწარმეტყველი იეშაიაჰ მივიდა და უთხრა: „ასე სთქვა გამჩენმა: გაეცი განკარგულებები სახლში, რადგანაც შენ მოკვდები და არ იცოცხლებ“. გემარა გვიხსნის, რომ ის ამ ქვეყნიდანაც წავიდოდა და მომავალი სამყაროც არ ელირსებოდა. რის გამო მიიღო ხიზკიაჰუმ ასეთი სასჯელი? იმის გამო, რომ ცოლი არ მოიყვანა და მიცვა „განაცოფიერდი და გამრავლდი“ არ შეასრულა. მეფე ხიზკიაჰუმ რუახ ჰაკოდე-მით იცოდა, რომ შვილები ბოროტმოქმედები ეყოლებოდა და ამიტომაც არ სურდა ცოლის მოყვანა. წინასწარმეტყველმა ირმიაჰუმ აუხსნა მას: „შენთვის არ შეიძლება განჭვრეტა და გამჩენის საიდუმლოებებში ჩარევა, უბრალოდ უნდა შეგესრულებინა მისი მიცვა და დაქორწინებულიყავი“. მაშინ მეფემ სთხოვა ქალიშვილი მიეთხოვებინა, მაგრამ ირმიაჰუმ უარი უთხრა, რადგანაც ზეცაში ხიზკიაჰუს სიკვდილი უკვე გადანყვებილი იყო. „ნუ უყურებ შენს წინასწარმეტყველებას, რადგანაც ჩვენი წინაპრებისაგან (მეფე დავიდის შთამომავალთაგან) ასეთი ტრადიცია მაქვს მიღებული, რომ კისერზე დანის მიბჯენისასაც კი გამჩენს მოწყალეობა უნდა შესთხოვო“. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ხიზკიაჰუ წამოდგა და ლოცვა დაიწყო. გამჩენმა მი-

სი ლოცვა შეისმინა და კიდევ თხუთმეტი წლის სიცოცხლე დაუმატა.

გემარაში „მოყვედ კატან“ კი ნათქვამია, რომ ხოლ ჰამო-ყედებში ქალის დანიშვნა შეიძლება, თუმცა ამ დღეებში ქორწინება აკრძალულია. თვით ყველაზე სამგლოვიარო დღეს 9 აბსაც (ორი ტაძრის დანგრევის დღეს) შეიძლება ქალის დანიშვნა სუფრის გარეშე, იმიტომ, რომ სხვამ არ დაგასწროს და არ დანიშნოს შენი რჩეული.

მაგრამ დაბადებამდე ორმოცი დღით ადრე ხომ გაისმის ხმა, რომელიც იტყობინება: ამა და ამ ადამიანის ქალიშვილი იქნება ამა და ამ ადამიანის მეუღლე, ანუ წინასწარ განისაზღვრება ვინ ვისი მეუღლე იქნება. მაშინ როგორ დაასწრებს სხვა? გემარა „სოტა“ პასუხობს, რომ ბრძენ-მა, სახელად რავა, ყური მოკრა, თუ როგორ ლოცულობდა ერთი ახალგაზრდა კონკრეტული გოგონასათვის. რავამ უთხრა, რომ მისი ლოცვა ამოი იყო, რადგანაც თუ ეს გოგონა ზეციდან შენთვისაა განკუთვნილი, ისედაც გახდება შენი მეუღლე, თუ არა და გამჩენს უფაყედები და ლოცვა არ გიმველისო. (ქორწინების შესახებ ლოცვა უნდა იყოს აგებული ისე, რომ ადამიანი ითხოვდეს მისთვის განკუთვნილ პიროვნებას, ეს ახალგაზრდა კი ამას არ ამბობდა). მათი საუბრის შემდეგ რავამ მოისმინა, რომ ახალგაზრდა ასე ლოცულობდა: „თუ გოგონა ჩემი სვედრი არაა, მაშინ ან ის მოჰკალი ან მე, რათა არ დავინახო თუ როგორ გაყვება სხვას“. სწორედ ამიტომ დაუშვეს ასეთ დღეებში ქალის დანიშვნა, რომ სხვამ არ ილოცოს და მისი ლოცვა არ იქნას შესმენილი.

აი, ასეთი ძალა აქვს ლოცვას. ამბობენ, რომ რებე ბრესლიდან არ თანხმდებოდა თემის რაბინობაზე იქამდე, მანამ არ უთხრეს, რომ მას 20000 ებრაელისაგან შემდგარი თემი ელოდებოდა. მაშ, რატომ არ მოდის ჯერ მამიახი, რომელსაც ჩვენ ყველანი ველოდებით? მოდი თველოდოთ მას და უფრო ძლიერად ვილოცოთ.

მე-2 გვერდიდან

- 19. ხსოვნა ტანჯვის და უბედურების ნაღვლის და შხამის.
20. ტანჯვა ჩემი ახსოვს ჩემს სულს და თვით ილუნება ტანჯვისგან.
21. ამას ვპასუხობ ჩემს გულს და ამით ვემვიდებ:
22. ღმერთის წყალობის გამო არის, რომ არ ამოვწყდით, წყალობა მისი კიდევ ბოგინობს.
23. კვლავ ცოცხლდება ყოველ დღით წყალობა იგი. დიდ არს რწმენა შენი!
24. ღმერთი ჩემი ნაწილი არის, ამას ამბობს ჩემი სული, ამაღ მაქვს მე მისი იმედი.
25. კეთილ არს ღმერთი იმედიანთა, და იმ სულთა, მისკენ რომ ილტვიან!
26. ნეტარ არს კაცი, მოთმინებით რომ ელოდება შევლას ღმერთისგან.
27. ნეტარ არს კაცი, ყმანვილობაში რომ ეღირსა უღლის ზიდვას,
28. ზის მოთმინებით სიწმემეში, რაკი უღელი ღმერთმა უბოძა.
29. მტვერი დაამთხვია ბაგენი თვისნი: იქნებ ამაში პოვოს იმედი.
30. ლოყას უშვერს მაცემარს თვისას: გაძღა სირცხვილით.
31. იქნებ უფალმა არ მიმატოვოს სამარადყამოდ!
32. კიდევ რომ ტანჯვა მომაცუნოს, ბოლოს მაინც შემინყალებს ვიცი, უფალი.
33. რამეთუ გულით ვერ იმეტებს, ვერ გასწირავს კაცსა უფალი.
34. როცა ფეხით სთელავენ ერთურთს,
35. კაცს როცა სჯიან უსამართლოდ უფლის წინაშე,
36. ადამიანს როცა სდევნიან — განა უფალი ამას არ ხედავს?
37. ვინ ამბობს ამას — მოხდება ისიც, რაც უფლის ნება არ ყოფილა?
38. განა ბაგენი უზენაესის არ გამოსცემენ ბოროტს და კეთილს?
39. რა აწუნუნებს ცოცხალ კაცსა! თავის ცოდვებზე იწუნუნოს.
40. ვეძიოთ და გამოვიკვლიოთ გზანი ჩვენნი, და მოვიქცეთ უფლისა მიმართ.
41. გული დავიდოთ ხელის გულზე და მოვიქცეთ ზეცისაკენ, უფლისა მიმართ.
42. ჩვენ შევცოდეთ და სწორ გზას ავცდით; არც შენ დაგვიხდებ.
43. რისხვის ბურუსში გაეხვიე, ლოცვას ჩვენსას შენამდე არ მოეღწია.
44. ჭუჭყად ბინძურად გადაგყარე სხვა ერებს შორის.
45. ყბად ამოგვიღეს ჩვენმა მტრებმა.
46. მიში და ორმო, განადგურება და მოსპობა გვხვდა მხოლოდ წილად.
47. ცრემლის ჩანჩქერი გადმოგსკდარა ჩემთა თვალთაგან, რაკი დაცემას ჩემი ერის ასულისას ვუყურებ თვალით.
48. თვალი ჩემი მდინარეთა სათავე გახდა, და ვეღარც შეგწყვეტ; არ დაადგა საშველი ტანჯვას,
50. სანამ უფალი არ იხილავს ყველაფერს ციდან.
51. თვალებით სულში ჩამიღამდა ჩემი ქალაქის ასულთა მზერით.
52. ჩემზე ისე ნადირობდნენ მტერნი ჩემნი, ვითარცა ჩიტზე, ტყუილუბრალოდ.
53. ჭამი ჩამაგდეს, ზევიდან კი დამკრიბეს ქვანი.
54. თავზე წყალმა გადამიარა, და ვსთქვი კიდევ: დავილუებები.
55. შენი სახელი ვახსენე, ღმერთო, იმ ჭის ფსკერიდან.
56. გესმა ჩემი ხმა; ნუ მოაცილებ შენს სასმენელთ ჩემს სუნთქვას და შევლის ძახილსა..

- 57. როს დაგიძახე, მომიახლოვდი და მითხარი: ნუ გეპინია.
58. შენ დაიცავე, უფალო ჩემო, სული ჩემი, შენ დაიხსენ სიცოცხლე ჩემი.
59. უკვე იხილე, უფალო ჩემო, ვაება ჩემი; ჰქენ სამართალი!
60. იხილე მათი შურისძიება, მათი ზრახვანი.
61. მოგისმენია, უფალო, ვით მამცირებენ; მოგისმენია ყველა მათი ბოროტგანზრახვა,
62. ყველა მათი მუქარა და საუბარი ყოველდღიური, ჩემს წინააღმდეგ რომ ილაშქრებენ.
63. აბა მათ ყოფას — ჯდომას და დგომას უყურე ახლა! ასაგდები გავხდი იმათი.
64. უფალო, მიაგე სამაგიერო, ვით ღირსნი იყვნენ.
65. მიეცი მათ მწუხრი გულისა და წყევლა შენი.
66. სდევნე რისხვით და გადააშენე, მოაშორე უფლის ცისქვეშეთს.

4 თაზვი

- 1. ვით ჩამქრალა ოქრო, ვით უცვლია სახე სიკეთის; წმიდა ქვანი წმიდა ტაძრისა გაფანტულან ბნელ ფოლორცებში.
2. ოქროს ვაჟკაცნი, ციონის ყრმანი, ვითარ ემსგავსნენ მექოთნის ხელით ამოზელილ ქურად დაფანტულ თიხის ნამტყრევებს!
3. ზღვის ურჩხულნიც კი ძუძუს აწვიდნენ თავიანთ ბადიშთ, ჩემი ერის ასული კი სიკაპასით და მრისხანებით უდაბნოს ცხოველს დაემსგავსა.
4. ჩველთა ყრმათა ენა გაუმრათ წყურვილისაგან; გეშია! — ტირიან ყრმანი, მაგრამ მიმწოდებულნი ლუკმისა არ ჩანს.
5. ტკბილის მჭამელნი ფოლორცებში ღაფავენ სულსა, ფარჩის სამოსს დაჩვეულნი სანახველაზე ყრიან უმწეოდ.
6. სედომის სასჯელს გადააჭარბა ჩემი ერის ასულის ტანჯვამ: უცერად დანთქა იგი უფსკრულმა, ისე, რომ ხელი არც მებეზია.
7. თავადნი მისნი — თოვლივით სუფთა, რძესავით წმინდა, მარგალიტივით, ნაფირონივით ფერადოვანნი,
8. ჩამოლამდნენ უკუნეთივით, ველარა სცნობენ ფოლორცებში, ტანი ძალზე გადაპკობილი, ჩამომხმარან ზეზეულად, როგორც ხეები.
9. ხმლით სიკვდილი სჯობია მუდამ შიმშილით სიკვდილს: მშიერის სიკვდილს მინდვრის ბალახის ჩხვლეტა ამთავრებს.
10. გულჩვილ ქალთა სათნო ხელები ხარშავდნენ მაშინ საკუთარ შვილებს — ვერ ძლებოდა შიმშილის ღმერთი, როცა დაეცა იერუსალიმი.
11. დაასრულა უფალმა დრტვინვა, დააქცია რისხვა თვისი; სიონი ცეცხლი ააგიზგიზა, გამოუგერია საძირკველი.
12. არ სჯეროდა ქვეყნად არავის — არც მეფეთ, არც მოქალაქეთ, იერუსალიმის კარიბჭეს თუ მოადგა მტერი.
13. ეს მოხდა მხოლოდ ცრუნინასწარმეტყველთა და მოძღვართა ცოდო-ბრალისა გამო — იერუსალიმს რომ დასთიხეს ცადიკთა სისხლი.
14. დაძრწინან ბრმები ფოლორცებში, სისხლში დასერილნი, მათ სამოსსა ვერც შეეხება.
15. ჩამოეცალეთ, უწმინდურია! — გაჰყვიროს ხალხი, — ჩამოეცალეთ, არ მიეკაროთ! და დაბნეულნი რბიან ისინიც; ხალხნი ამბობენ: ამონყდებიან, ვერ იცოცხლებენ.
16. ღმერთმა დაფანტა, დაარბია, აარიდა თვალი საცოდავთ: მოძღვართ პატივს აღარ სცემენო, მოხუცებს არ იბრალებენო.
17. დაიწრით თვალელები ჩვენი მხსნელის ამო და ფუჭ ლოდინში; სათვალთვალო კომპებიდან გავყურებთ იმ

- ხალხს, ვისაც არ ძალუძს შეველა ჩვენი.
18. მახეს გვიგებდნენ, როს დავდიოდით ფოლორცებში; მოახლოვდა დასასრული და აღსრულდა დღეები ჩვენი.
19. მდევარნი ჩვენი იყვნენ არწივზე უმაღლესნი, გვედენდნენ მთაშიც, უდაბნოშიც გვისაფრდებოდნენ.
20. სუნთქვა ჩვენი, მესიაც, მათ ორმოში გამომწყვედულა; ის მესია, რომ ვამბობდით: მის ჩრდილქვეშ ვიცხოვრებთო სხვა ერებს მორის.
21. გაიხარე, ყუცის მინაზე მჯდომო ასულო ედომისაო; შენზეც გადმოვა ალავერდს მტერი — დათვრები ტანჯვით და გამოშვლდები.
22. დასრულდა შენი ხანგრძლივი ტანჯვა, ასულო სიონისაო! აღარ გაგიმეტებს უფალი მეტად; მენს დანაშაულსაც იხილავს უფალი, ასულო ედომისაო, გამოამყლავნებს შენს ცოდვებსაც.

5 თაზვი

- 1. გაიხსენე, უფალო, რა დაგვემართა; აბა ნახე, ვით გამოშვლდა აუგი ჩვენი.
2. სამკვიდრო ჩვენი უცხო თესლის ხელში აღმოჩნდა, სახლები დარჩათ გადამთიელებს.
3. ჩვენ ობლებად გადავიქცეთ, დედები კი ქერივებად დარჩნენ.
4. ჩველსავე წყალს ფულით ვსვამთ მხოლოდ, ჩვენსავე ხეებს ფულით ვშოულობთ.
5. ქერში ცემით გვედენიან მტრები, მიმე შრომით მივიხრწნენ, მოსვენება ვერ გვიპოვია.
6. ეგვიპტელებს, ასურელებს ხელს ვუნვდით ახლა სამათხოვროდ ლუკმა პურისა.
7. წინაპრებმა შესცოდეს და მათ სასჯელს ჩვენ ვიხდით ახლა.
8. მონები ჩვენზე ბატონობენ, არავინ გვიხსნის მათი ხელიდან.
9. ხმლით აჩეხვის საფრთხის ფასად უდაბნოში ვშოულობთ ლუკმას.
10. ტახნი ჩვენი ღუმელივით გამავდა უკვე ასეთი მწველი შიმშილისაგან.
11. ცოლებს სიონზე გვინიოკებენ, ქალწულთ — ქალაქებში იუდეისა.
12. თავადნი ხეზე ჩამოგვიკიდეს, მოხუცთა — სახე შემოუგინეს.
13. ჭაბუკნი წისქვილის ქვას აბრუნებენ, ყრმანი — ხის ზიდვაში ეცემიან.
14. მოხუცი კართან აღარ სხდებიან, შეწყდა ჭაბუკთა გალობა ტკბილი.
15. გულის ხარება დასრულდა ჩვენი, ჩვენს ზეიმობას დაეუფლა ამაოება.
16. თავიდან თავი გადმოგვივარდა, ვაი, რომ შევცოდეთ!
17. ამან დამდურა გული ჩვენი, ჩამოაღამა თვალეები ჩვენი.
18. უკაცრიელ სიონის მთაზე ტურებილა დადიან ახლა.
19. უფალო, შენ ხარ მარადიული; შენი სავანეც მარადიულ არს.
20. რად დაგვივინყა სამუდამოდ, რად მიგვატოვე ასე ხანგრძლივად.
21. დაგვაბრუნე, უფალო, შენს წილში, და დავბრუნდებით; ძველებურად გააცისკროვნე დღეები ჩვენი.
22. ნუთუ სავსებით შეგვიძულე? გაგვირისხდი ასე ძალიან?
23. დაგვაბრუნე, უფალო, შენს წილში, და დავბრუნდებით; ძველებურად გააცისკროვნე დღეები ჩვენი.

ბია, სხვათა შორის ვკითხე: „რა იყო, ხო მშვიდობაა?!“ „მშვიდობა, კი!“ – ჟურნალის გვერდები გვერდზე გადასდო – „ჯემალი მეუბნება, შენ და ბათიაშვილი რომ წერთ, იმნაირ პიესებს ყოველ ორ კვირაში დაწერო“.

გამეღიმა. „რას ილიმი, შენზეც თქვა, სხვათა შორის, მარტო ჩემზე არ უთქვამს!“
ჯ. აჯიაშვილი – ადრე სულ მომლიმარი, მშვიდი კაცი, ახალი გადაეჭრებოდა იყო და იმდენად აგრესიულად იქცეოდა, ყველა ამბობდა „ანყინა!“ (გიგლა სხვანაირად ამბობდა: „ნარმატებას ვერ გაუძლო“) ამიტომ გიგლას ნაქვამი არ გამკვირვებია, ყურადღება არ მივაქციე და ვუთხარი: „ახლაც, ამ წუთებშიც, რამდენი წერს შენზე უკეთეს პიესას, ჩემზე უკეთესს — კიდევ უფრო მეტი... ნეტავი შენ, დანეროს მერე, დანეროს ახალი „ზღვის შვილები“, დანეროს ახალი „1832 წელი.“ ძალიან კარგი!“

გიგლას გაეღიმა. უცებ გამოუკეთდა გუნება. იმ წლებში გიგლას ეპიკური პიესები, დიდი მონონებით სარგებლობდა, აღარაფერს ვამბობ ადრეულ „ზღვის შვილებზე“. მაგრამ მე ხომ ვიცი, გუნების გამოკეთების უმთავრესი მიზეზი იყო ფრაზა: „ჩემზე უკეთესს — კიდევ უფრო მეტი“.

ასეთი დიდი ბავშვი იყო.
P.S. ეს ამბავი ახლახანს, 9 აბის, გლოვის დღეს, გამახსენდა გიგლას და დათუნას საფლავის (სხვათა შორის ჯემალის დედის საფლავზეც — მისი შვილი გინებას რომ დაეჩვია, რა მისი ბრალია — კეთილსმსურველი ქალი ბრძანდებოდა) ქვაზე კენჭები რომ დავდე და სულის მოსახსენებელი ლოცვაც ნვაკითხე ხახამს.

კლასიკის ავტორი = კლასიკოსი

პაპანაქება სიცხეა, შუადღეა, ის კი საწოლში წევს, ხან იცინის, ხანაც — სახე მოედრებოდა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას იგონებს, რაზე ლაპარაკობს.

მთავარი ფრაზა, რომელიც გულზე მომხვდა, მერე თქვა:

– ეჰ, საშინელებაა, ჩემო გურამ, საშინელებაა იმასთან შერიგება, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა, რომ ანი ველარაფერს ვერ შექმნი. არადა, შემიძლია. რამდენი გეგმა მაქვს, ეს ფეხი რომ საშუალებას მადლევეს — მერე ღიმილი ერევა, თავისსავე ფეხზე ჩვეული ირონიით ლაპარაკობს — ისე, კაცმა რომ თქვას, რას ერჩი — რამდენი ათეული წელი შემსახურა, აღარ შეუძლია მეტი!

მე მინდა, გავამხნეო, შევუძახო, რადგან სავსებით მესმის მისი გულისტკივილი, ეს ყოველი ჩვენგანის გულისტკივილიცაა.

– ბედს ნუ ემდურით, ბატონო გიგა, კლასიკის ავტორი ხართ, კლასიკა შექმენით „დათა თუთაშხიას“

სახით.

გიგა ლორთქიფანიძე კი ლამის წამლერებით ამბობს:

– ის იყო, ის უკვე გაკეთებულია, ის წარსულია. დღეს? დღეს გინდა ადამიანს ახალი...

არადა, წამდვილად შეუძლია ახლის შექმნა — გონებაც, იუმორიც უჭრის, გულიც ადრინდელივით სიყვარულით უცემს...

მაგრამ 84-ე წელიწადს რომ ამთავრებ, რაღაცა ხომ უნდა იყოს ბრალეული. ამჯერად ფეხი.

ესანი მე მუხუბანია: „ნუ გაუკეთებ სხვას იმას...“

1. ჯერ იმ კეთილშობილური შეგონების თაობაზე, რომელიც „ჟამი ერთობისას“ რედაქციას სათაურად გამოუტანია. „ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ“. თუ ასეთი განსწავლული არიან, ეს ჩინებული შეგონება რატომ მაშინ არ გაიხსენებს, 2008 წელს, ისრაელის საელჩოში ბოთლიდან ჯინს რომ უმცვდნენ? ამ ჩინებული შეგონების თეზაზე, მაშინ უნდა ეფიქრათ, როცა თბილისის დიდ ბეთ ქნესეთში შ. ქოსაშვილის თავმჯდომარეობით და ქალბატონი რედაქტორის მდივნობით „ჟამი ერთობისას“ ნათლიმამა ხუხაშვილი ჩემს სამსჯავრო სხდომებს მართავდა, ქ-ნი რედაქტორი ოქმს ოქმზე აცხობდა, მასში გამომსვლელთა ისეთი ფრაზებიც შექმნდა, რომელიც არ უთქვამთ და როცა ორატორი ბრაზობდა: „ბათიაშვილზე ასეთი რამ არ მითქვამს, ოქმში რატომ წნერიანო, დღეს გარედაქტორებული მდივანი პასუხობდა „უკვე წერია, ახლა რაღა შეიცვლებაო!“

ეს დიდებული თეზა რატომ მაშინ არ ახსოვდათ, როცა ხუხაშვილი ორგანიზაციიდან ორგანიზაციაში დარბოდა, ჩემს შეურაცხყოფელ მასალებს ხალხს ხელებში სწრიდა, ან მაშინ რატომ არ მისდევდნენ ამ თეზას, როცა ხუხაშვილი გაჰკიოდა ბათიაშვილს მარჯანიშვილის პრემიას ნუ აძლევთო, ან მაშინ რატომ არ გაიხსენებს ეს თეზა, როცა ო. სეფიაშვილს, თ. მამისთვალავს, ჯ. აჯიაშვილს, შ. წინუაშვილს და სხვებს ბათიაშვილზე აუგს ალაპარაკებდნენ? გამოვამზეურო ზოგიერთი ამთავანის ორპირობის დასტური ნაწერი, თუ ნათქვამი? მათ იკადრეს, მე სამი წელია თავს ვიკავებ — არ ვკადრულობ. ახლა კი ხელმეორედ ბეჭდავენ მათ ცილისმწამებლურ განცხადებებს. და მაინც: ნუთუ, ხუხაშვილი და K⁰ ვერ ხვდება, ამ ებრაელ მოღვაწეებს, ასეთ ბინძურ საქმეში ჩათრევით, ისევე რომ მოსცხეს ჩირქი, როგორც — მე? უკეთ ვინ იცის თუ არა ებრაელობამ, რას ნიშნავს ადამიანზე აუგის თქმა, მით უმეტეს, ნაყალბევის.

ამ თეზას რომ გაიძახიან, სწაღიათ: ზემოთ

ჩამონათვალ საქმეებს აკეთებდნენ, სხვა კი ამ თეზას მისდევდეს? არ გამოეშვათ ბოთლი ჯინიდან, ხსომე-ბოდათ ეს თეზა, არ ჩაბმულიყვნენ ეშმაკეულთა მიერ გამართულ ჭინკების ფერხულში და იქნებოდა მშვიდობა. **ახლა კი მამუხანათებენ: „ნუ გაუკეთებ სხვას იმას...“ ჩემი ყოველი ქმედება არის პასუხი მათ საქციელზე. კვლავაც ასე იქნება, რადგან უკეთურობასთან ბრძოლა ადამიანის ვალაა.**

2. რედაქცია იმას კი არ წერს გ. ბათიაშვილზე რომ დავენერეთ ქართულ-ებრაულ ურთიერთობას აფუჭებს, სწორი იყო, მართალნი გახლდით, ან შეცდომა მოგვივიდა, ეს არ უნდა დაგვენერაო. ხალხს თვალში ნაცარს აყრიან: ჩანართი ჩანართოდ არ გვაქვსო. ჩანართი არ ჰქონდათ, მაგრამ როცა ხუხაშვილს დასჭირდა ახალგაზრდობის და სპორტის მინისტრისათვის ერთგულება დაედასტურებინა, თავი მოენონებინა მისეთი „კეთილშობილებით აღვსილი“ ებრაელი მოღვაწეები მიდგანან გვერდში, გ. ბათიაშვილის თავს მალე ფეხებთან გაგიგორებო, ამ შემთხვევისათვის არა მარტო ჩანართი შექმნა, შიგ ისიც კი ჩანერა გ. ბათიაშვილი ქართულ ებრაულ ურთიერთობას ამღვრევსო. ჩანართი დედაზე ჭიპლართით მიბმული ბავშვი ხომ არ ჰგონიათ! ხელმეორედ დაბეჭდა ცილისწამებანი, ჩააღაგა „ჟამი ერთობისას“ შუა გვერდებში და დამთავრდა!

ეს ჩანართი სულაც არ იყო განკუთვნილი ებრაული მოსახლეობისათვის, რადგან ხუხაშვილმა და K⁰ კარგად იცის: არც ერთი ებრაელი კაცი არ მოიწონებს გ. ბათიაშვილის აუგად მოხსენიებას იმის გამო, რომ ესა თუ ის პიროვნება — მინისტრი — გააკრიტიკა: ჩემი ერის ავად მახსენებელს ტაში რატომ დაუკაროო. ჩანართი გაკეთდა მინისტრის, სამეცნიერო-შემოქმედებითი ორგანიზაციებისათვის: ხუხაშვილი ზემოთ ნახსენებ ჯ. აჯიაშვილის, დ. ბააზოვის, თ. მამისთვალავის, მ. ჯანაშვილის, ო. სეფიაშვილის და სხვათა გამოხატულებით ბატონ მინისტრს, ხვალ ებრაელთა ყველა ჯურის ყველა ავადმახსენებელს და მისი ტაშის დამკვერთს ეუბნება: „აი, რას წერენ ებრაელი „ბრძენნი“ ბათიაშვილზე, ამიტომ მშვიდად იყავით, მის დაწერილს არა-რა ძალა არ აქვსო.“ მერე ამ ცრუ ბრალდებებს „ჟამი ერთობისას“ შუა გვერდებში ალაგებს და ამჯერად მეორე რედაქტორი ენერგიულად დაარბენებს ორგანიზაციიდან ორგანიზაციაში. აი, ნახეთ, ბათიაშვილი ვინ არისო. ისინი კი მე გაცოცხლებული მაძლევდნენ, ეს რა ხდებაო.

ისმის შეკითხვა: ვინ უფრო ღირსეულ პიროვნებად გამოიყურება: სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, თუ ხუხაშვილი და მისი ამქრის წევრი ებრაელი „ბრძენნი“? მინისტრმა, კრიტიკა გაიზიარა და ბოდიში კაცურად მოიხადა.
ესენი, ეს ებრაელი „ბრძენნი“?

გაზეთ „მენორას“ რედაქცია სამიძიარს უცხადებს ჯამაათის თვალსაჩინო წევრს ბ-ნ მერაბ ჩანჩალაშვილს დედის — სიმა ჩანჩალაშვილის გარდაცვალების გამო.

ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი აცხადებს მიღებას საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- ივრითი,
- ინგლისური ენა,
- რუსული ენა,
- კომპიუტერული კურსები,
- ფიტნესი,
- ჰიპ-ჰოპი,
- ხელსაქმე,
- მადრიხების სკოლა,
- ფოტოსტუდია – იური მეჩითოვის ხელმძღვანელობით,
- ვოკალის სტუდია – კონსერვატორიის პროფესორის ვილი გრიგორიანის ხელმძღვანელობით,
- ლათინურ-ამერიკული ცეკვები,
- ხატვა,
- თეატრალური სტუდია,
- ებრაული სახალხო უნივერსიტეტი,
- ებრაული სიმბოლიკა და ტრადიციები.

ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი

საბავშვო ჯგუფი „შალომ სეზამი“ 2011-2012 წლისათვის აცხადებს 3,5 წლის ასაკიდან ბავშვების მიღებას

ბავშვებთან მუშაობა ეფუძნება სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლების უახლეს ისრაელურ მეთოდებს.

- პროგრამაში:**
- ებრაული ალზრდა (რელიგიისა და ტრადიციების საფუძვლები),
 - მუსიკა,
 - სიმღერა,
 - ცეკვა,
 - ივრითი,
 - ინგლისური ენა,
 - ექსკურსიები,
 - საბავშვო სპექტაკლებსა და გასართობ ღონისძიებებზე დასწრება.

საბავშვო ჯგუფი მუშაობს ყოველდღე (შაბათის და კვირის გარდა) 10:00-დან 17:00 საათამდე.

ზამთრის პერიოდში შენობა თბება. გათვალისწინებულია კვება.

ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი

2011 წლის 11 სექტემბრიდან იწვევს 8-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებს მონაწილეობის მისაღებად პროგრამაში

„ატიკვა“

პროგრამა გათვალისწინებულია იმ ბავშვებისათვის, რომლებსთვისაც საჭიროა დამატებითი მეცადინეობები სასკოლო განათლების სხვადასხვა საგნებში. პროგრამის მიზანია საგანმანათლებლო სტატუსისა და მოზარდთა განვითარების დონის ამაღლება.

- პროგრამაში:**
- მათემატიკა
 - ქიმია
 - რუსული ენა
 - ინგლისური ენა
 - ივრითი
 - ხატვა
 - კომპიუტერული კურსები
 - ექსკურსიები
 - კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება, როგორებიცაა თეატრი, ცირკი, მუზეუმი, ზოოპარკი, საზაფხულო ბანაკი.
- გათვალისწინებულია კვება.
პროგრამა ფუნქციონირებს კვირაობით 11-დან 15 სთ-მდე.

ცნობებისათვის მიმართეთ:
ავლაბარი, ვახტანგ VI ქ. №30, ებრაული სახლი, III სართული.
საკონტაქტო ტელეფონები: 2772311 (დამატ.105), 2770653, 2157035